საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 38 (2151) სამშაბათი, 5 მარტი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

„შეუძლებელია რეალური ეკონომიკური პროგრესი ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს“

აქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევა- ნაძემ ორშაბათის რადიოინტერვიუ, რომელსაც ნალისტი ნატო ონიანი უძღვებოდა, ტრადი- ლად, ეკონომიკური მიმოხილვით დაიწყო:

— თებერვლის ბოლო კვირა მეტად მნიშვნელო- ი იყო ეკონომიკური რეფორმების ბედისათვის ართველოში. საერთაშორისო სავალუტო ფონ- დირექტორთა საბჭომ 28 თებერვალს მიიღო ი ქვეყნისათვის მართლაც საეტაპო, საარსებოდ შვნელოვანი გადაწყვეტილება — საქართველოს ერობის ეკონომიკური და სტრუქტურული რე- მების პროგრამის უზრუნველსაყოფად 1996-98 ებისათვის 246 მილიონი დოლარის საერთო თა- გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტის გამო- ის თაობაზე. პრაქტიკულად, ეს არის დახმარე- სამწლიანი პროგრამა მიზნად ისახავს წარმოე- რეაბილიტაციასა და სტრუქტურული გარდაქმ- ის განხორციელებას. ამასთან, იგი არსებითად ართველოსკენ გზას უხსნის განვითარების საე- აშორისო ასოციაციის კრედიტებს, დაახლოებით, მილიონი დოლარის ოდენობით, რის თაობაზეც, ოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭო იმსჯელებს რილის დამდეგს..

საერთოდ კი, ამ ფინანსურ დახმარებათა გათვა- სწინებით რეალიზებული იქნება საქართველოს ეზიდენტის ეკონომიკური პროგრამის ის მიმა- ულებანი, რომლებიც საერთაშორისო ეკონო- ურ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლ- ას ითვალისწინებს. ამასთან, საერთაშორისო ალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ახა- პროგრამების მიღება მეტად კეთილნაყოფიერ როეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს ქმნის ვითარებული ქვეყნებიდან ინვესტიციების, უწ- ესად, კერძო ინვესტიციების ფართოდ მო- ნისათვის. ეს სიკეთე ყველა რეგიონს შეეხება ყველა რეგიონი ამას სამ წელიწადში იგრძნობს, რას ნიშნავს ასეთი მასშტაბის დახმარება სა- თველოსათვის. ვფიქრობ, რომ აფხაზეთშიც და ნვალის რეგიონშიც გაიგებენ, თუ რამდენად იანოა საქართველოდან იზოლირებულად ყო- , საზიანოა მთლიანად ამ რეგიონებისათვის და იანოა ყოველი ოჯახისა და ყოველი მოქალაქ- ვის.

ამ ფონზე,მეტად მნიშვნელოვანია გავაგრძელოთ ზრო ეკონომიკისათვის საჭირო სამართლებ- ი ბაზის შექმნა. განსაკუთრებით კი შემდ- მნიშვნელოვანია, რომ დავხვეწოთ, და, რაც ძლება, სრულყოფილი სახით მივიღოთ კანონი ოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ, რათა მტკიცედ დარწმუნდეს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა, ყველა მოქალაქე, რომ შეუძლებელია რეალური ეკონომიკური პროგრესი ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

მართალია, შეჯამებული სტატისტიკური მონაცემები ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ორი თვის შედეგებით იკვეთება (ყოველ შემთხვევაში, პირველი შედეგები ასეთია), დადებითი ტენდენციები მრეწველობის სფეროში. კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს მრეწველობის დეპარტამენტის ცნობით ამ სისტემის საწარმოებმა, რომელთა უმრავლესობა იანვარ-თებერვალში ამოქმედდა, 7 მილიონ ლარზე მეტი პროდუქცია შექმნეს, რაც შარშანდელზე თითქმის სამჯერ მეტია. ამასთან, თებერვლის მესამე დეკადაში, წარმოებულია 2 მილიონ ლარზე მეტი პროდუქცია, პირველი ოცი დღის ერთნახევარი მილიონის ნაცვლად, რაც იმას მოწმობს, რომ ბოლო დეკადაში მკვეთრად გადიდდა წარმოების სადღეღამისო მოცულობა. ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, თებერვლის ბოლო დეკადაში, მართალია, მცირე დატვირთვით, მაგრამ მაინც ამუშავდა ჭიათურმანგანუმი, ჰოლდინგ „სამთო ქიმიის“ სამი საწარმო. ესენია: წყალტუბოში — საქგუმბრინი, ოზურგეთში — ასკანიდი, ამბროლაურში — ქიმიური ქარხანა. ამ ჰოლდინგის დანარჩენი 7 საწარმო მზად არის მიმდინარე თვეში დაიწყოს ფუნქციონირება.



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 4 მარტის რადიოინტერვიუ

გარკვეულ იმედს იძლევა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ოპერატიული მონაცემები კვების მრეწველობის თაობაზე. კერძოდ: ორ თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოებულია 80 ათასი დეკალიტრით მეტი ღვინო, 59 ათასი დეკალიტრით მეტი კონიაკი, 134 ათასი ბოთლით მეტი შამპანური.

უალკოჰოლო სასმელების წარმოებამ 160 ათასი დეკალიტრი შეადგინა შარშანდელი იანვარ-თებერვლის 60 ათასი დეკალიტრის ნაცვლად, ლუდისა — 70 ათასი დეკალიტრი, 15 ათასის ნაცვლად; მინერალური წყლების წარმოებამ 2,5 მილიონი ბოთლი შეადგინა (ეს თითქმის მთლიანად „ბორჯომზე“ მოდის), მაშინ, როცა შარშან ამავე პერიოდში მინერალური წყალი საერთოდ, არ ჩამოსხმულა. დასახულია პროგრამა, მარტში თითქმის 5 მილიონი ბოთლი „ბორჯომის“, ხოლო აპრილიდან — 5,5-6 მილიონი ბოთლის ჩამოსასხმელად. სულ 1996 წელს განზრახულია ეს წარმოება გავზარდოთ 60 მილიონ ბოთლამდე. რამდენადაც მახსოვს, წინა საბჭოთა პერიოდში აქ 400 მილიონ ბოთლს ასხამდნენ.

10 მარტისათვის გათვალისწინებულია ხაშურის მინის ტარის ქარხნის ამოქმედებაც, მიმდინარეობს საკონსერვო საწარმოების სეზონისათვის მზადების სამუშაოები. გარდაბნის საკონსერვო ქარხანამ კი უკვე გამოუშვა 11 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, ხოლო გორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამეგობრომ“ გერმანიაში გადატვირთა 250 ათასი მარკის ღირებულების ვაშლის კონცენტრირებული წვენი (და ეს კარგი სიმპტომია).

შემობრუნება დაიწყო საბიუჯეტო გადასახადების აკრეფაშიც. საგადასახადო ინსპექციის ცნობით, თებერვალში აკრეფილი შემოსავლები 4 მილიონი ლარით, ანუ 36 პროცენტით ჭარბობს იანვრის შემოსავლებს და 15 მილიონ ლარს შეადგენს. აღნიშნულის შედეგად ორ თვეში, წინასწარი შეფასებით, მიღებულია 26 მილიონ ლარზე მეტი, ანუ გეგმის 101 პროცენტი· ეს ორჯერ აღემატება შარშანდელი პერიოდის ორი თვის შემოსავალს. გან-

(დასასრული მე-2 გვ.)

მიღება

თანამშრომლობა მტკიცდება

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი

4 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი-აქბარ ველაიეთი. პირისპირ საუბრის შემდეგ გაიმართა გაფართოებული შეხვედრა, რომელზეც განიხილეს საქართველო-ირანის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტები. ის შეთანხმებები, რომელსაც მიაღწიეს პრეზიდენტ ჰაშემი რაფსანჯანის საქართველოში ვიზიტისას, თანდათან შედის ძალაში. მტკიცდება თანამშრომლობა მთელ რიგ დარგებში.

ირანელი ენერგეტიკოსები ქართველ კოლეგებთან ერთად მუშაობენ ყინვალჰესზე, იწყება ქუთაისის ავტოქარხანასთან გაფორმებული ხელშეკრულების განხორციელება, მალე ჩამოვა დელეგაცია საბაჟო საკითხების დასაზუსტებლად.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს ქუთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში სამუშაო ადგილის გამოყოფისთვის, რაც ირანელთა მხრიდან კეთილგანწყობის კიდევ ერთ გამოვლინებად მიიჩნია.

ბატონმა ველაიეთიმ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა ორი პრეზიდენტის — ირანისა და თურქმენეთის რესპუბლიკების ლიდერთა მიწვევა ირანში მეშჰედ — სარახსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად. ედუარდ შევარდნაძემ ისტორიული მნიშვნელობისა უწოდა მაგისტრალს, რომელიც ცენტრალურ აზიას ერთის მხრივ, დააკავშირებს ამიერკავკასიასა და ევროპასთან, მეორე მხრივ — სპარსეთის ყურესთან. რკინიგზის მაგისტრალი, რომლის მშენებლობაში ქართველი ინჟინრებიც მონაწილეობდნენ, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორი იქნება კავკასიაში სტაბილურობის მისაღწევად.

მეშჰედში მიწვეულია ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამივე პრეზიდენტი. შესაძლებელია, წინასწარი კონსულტაციების შემდეგ მოხდეს მათი და ირანის პრეზიდენტის უმაღლესი დონის შეხვედრა.

ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილებით მიიღო მიწვევა. აღნიშნა, რომ ამ მოვლენას დიდი პერსპექტივა ექნება, მით უმეტეს, დღეს, როცა საქართველო გამოდის მშვიდობიანი კავკასიის მშენებლობის ინიციატივით.

ბატონმა ველაიეთიმ ჟურნალისტებთან შეხვედრისას დადებითად შეაფასა პრეზიდენტთან საუბრის შედეგები. აღნიშნა, რომ ირანის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამეგობრობის ქვეყნებთან, მათ შორის, ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან კონტაქტების გაღრმავებას. ეს ვიზიტი ერთი ნაბიჯია ამ გზაზე.

ურთიერთობა წარმატებით ვითარდება

4 მარტს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თევფიქ უქჩუფ ოქიაუზი.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო უკანასკნელ წლებში საქართველო-თურქეთს შორის არსებულ აქტიურ, წარმატებულ ურთიერთობას.

როგორც ბატონმა ელჩმა აღნიშნა, გასული წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა არჩევნებმა საქართველოსა და თურქეთში, ხელისუფლების სტრუქტურულმა ცვლილებებმა, თურქეთში არსებულმა სამთავრობო კრიზისმა დააყოვნა ეკონომიკის სფეროში ორი ქვეყნის ურთიერთსასარგებლო პროექტების განხორციელება, გუშინ თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თანსუ ჩილერმა ხელი მოაწერა პროტოკოლს კოალიციის შესახებ — აღნიშნა თევფიქ ოქიაუზმა.

სახელმწიფო მინისტრმა ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი მეზობელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია თურქეთის რესპუბლიკის ახალ მთავრობასთან და სამინისტროებთან ახალი კონტაქტების დამყარება, მცირე სავაჭრო ურთიერთობებიდან დიდ ეკონომიკურ პროგრამებზე და პროექტებზე გადასვლა, რამაც უფრო ინტენსიური და დინამიური ხასიათი უნდა შეიძინოს.

ჰეიდარ ალიევის ოფიციალური ვიზიტისათვის

8-10 მარტს გაიმართება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, რომლის დროს, ხელს მოაწერენ დოკუმენტების პაკეტს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის, შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის ნავთობის ტრანზიტის თაობაზე.

დაგეგმილია აგრეთვე, საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოს გახსნა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სამი ყველაზე მთავარი საზრუნავია სამშობლოს უშიშროება, სამშობლოს კეთილდღეობა და სამშობლოს სახელი

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკებთან და დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე 1996 წლის 28 თებერვალს

ჩემი გამოსვლის დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ მინისტრის ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის მო- ენებაში და ელჩების გამოსვლებში თავმოყრილი მთელი ინ- რმაცია უაღრესად ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს. საკმაოდ პრო- ხიული ანალიზი და ფაქტობრივი მასალები და წინადადებები მო- ხოვს იმას, რომ ჩვენს შეხვედრას მოჰყვეს პრეზიდენტის სპე- ალური განკარგულება, რომელიც მოაწესრიგებს დღევანდელ შე- ებაზე წამოჭრილ პრობლემებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი შე- ება ქართული პოლიტიკისა და დიპლომატიისთვის თავისებურად ტორიულია. აგერ უკვე სამი წელიწადია, რაც არსებობს ქარ- ული დიპლომატიური კორპუსი. ამ ხნის მანძილზე ჩვენ შეიძლება როც შევკრებილიყავით, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ სწორედ ახლა გროვდა ის გამოცდილება, რომელიც პირველი დასკვნების გა- ტანის საშუალებას იძლევა. სწორედ ახლა მიეცა ჩვენს ქვეყანას შუალება, რომ აწარმოოს საგარეო ურთიერთობები ისე, როგორც შეეფერება დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულ საე- თაშორისო თანამეგობრობის ღირსეულ წევრს. სწორედ ახლა მი- დინარეობს ძველი წყობის საბოლოო დემონტაჟი და, როგორც ბო- ხანებში იციან თქმა, გამოჩნდა შუქი გვირაბის ბოლოს. სწორედ ლა მთელი ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა, და მათ შორის საგა- ეოც, სულ უფრო ნაკლებად ავლენს გარე ფაქტორებზე სპონტანური რეაგირების ნიშნებს და სულ უფრო იძენს მიზანმიმართულ, სისტემურ ხასიათს. სწორედ ახლა იწყება თვისობრივად ახალი ეტაპი სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში და, მაშასადამე, დიპლომატიაშიც.

არსებობდა თუ არა ქართული ეროვნული დიპლომატია საბჭოთა პერიოდში? კლასიკური სახით — არა. მაგრამ არსებობდა პოლიტიკა, გაანგარიშებული ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული კულტურის, ხელოვნების განვითარებაზე, ეროვნული მეურნეობრიობის საკუთარ ფუძეზე მშენებლობაზე, ეროვნული კადრების მომზადებაზე, ეროვნული მეცნიერების განვითარებაზე, ეროვნული ენერგიის საჭირო მიმართულებით, სამომავლო ინტერესების შესაბამისად გამოღვიძებასა და წარმართვაზე· დასახული მიზნების რეალიზაცია, სასურველ შედეგამდე მისვლა მოითხოვდა ალესილი სამართებლის პირზე სიარულს, ვინაიდან მთელი ეს ურთულესი სამუშაო ისე უნდა წარმართულიყო, რომ არ გამოეწვია ცენტრის მწვავე რეაქცია· ცენტრი უნდა დაგვერწმუნებინა, რომ ეს მის ინტერესებშიც არის, რომ ეს სრულ ჰარმონიაშია ერთიანი კავშირის ინტერესებთან, განსაკუთრებული სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ამ პოლიტიკას, მე ასე ვიტყოდი, უმაღლესი რანგის დიპლომატიას, ოფიციალური სახე არ ჰქონდა, მას არ ქმნიდა ადამიანთა, თანამოაზრეთა გუნდი. ჩანაფიქრის თუ ნააზრევის გამხელა მხოლოდ საკუთარ თავთან შეიძლებოდა· ხანდახან თანამოაზრეები მოქმედებდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ჩანაფიქრის ერთმანეთისთვის გაუმხელელად. იმხანად თავის ქვეყანაზე, მის აწმყოზე და მომავალზე მზრუნავ მოღვაწეს არა მარტო გონების დაძაბვა, არამედ პოლიტიკის და დიპლომატიის ხელოვნების ურთულეს ლაბირინთებში უხდებოდა გზის გაკვლევა· იქნებ უხერხულიც იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, როცა 1985 წელს მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის ოკეანეში გადავიშვეს, ისე მომეჩვენა, რომ ცურვა დიდი ხნის ნასწავლი მქონდა და მოსკოვსა და ვაშინგტონს ან მოსკოვსა და ბონს შორის ურთიერთობათა ხაიდუმლოს ამოხსნა სულაც არ იყო უფრო რთული ამოცანა, ვიდრე მოსკოვისა და თბილისის, თითქოს, ერთი შეხედვით, დიდი ხნის წინ გარკვეული და ნათელი ურთიერთობებისა. ამ უკანასკნელში წყალქვეშა დინებები და ნაღმები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე პირველში.

ამ დარბაზში შევკრიბეთ ის ადამიანები, ვინც უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, ავად თუ კარგად, ფაქტობრივად ქმნიდა ახალი ქართული დიპლომატიის ისტორიას· აქვე ვიტყვი, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ალექსანდრე ჩიკვაიძეს. ამავე დროს, ბევრი თქვენგანი ერთმანეთს მხოლოდ სახელებით, სატელეფონო საუბრებით ან დიპლომატიური მიწერ-მოწერით თუ იცნობს. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოს არც ჰყოლია დიპლომატიური კორპუსი და ეს გასაგებიც არის — ჩვენი ქვეყანა სრულფასოვან საგარეო ურთიერთობებს არ აწარმოებდა· ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნებში დიპლომატები — ეს პროფესიონალთა თავისებური კასტაა დაწერილი თუ დაუწერელი ტრადიციებით, მემკვიდრეობითობით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კორპორატიულობის გრძნობით· ჩვენში ეს ფენა მხოლოდ ახლა იქმნება. თქვენი ყოველი მოქმედება პრეცედენტს ქმნის ქართულ დიპლომატიაში· და ეს სამართლიანად უნდა იწვევდეს სიამაყისა და სიხარულის გრძნობას, რად-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

„დამთავრდა ჟამი ნგრევისა და დადგა ჟამი შენებისა“

3 მარტს თბილისში, ელიას აზე, საფუძველი ჩაეყარა წმი- და სამების ტაძრის მშენებლო- ბას — დედაქალაქში დაიწყო შე- ბა საქართველოში დღემდე აგე- ლ ყველა ტაძარზე აღმატებუ- ი და დიდმნიშვნელოვანი ტაძ- რისა, რომელიც ორი ათასწლე- ლის მიჯნაზე აგებული, იქნება მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი ტორიის მქონე პატარა ქვეყნის ლიერი და ფიზიკური უკვდა- ებისა, სწორედ ამ რწმენით იწ- ებს მის შენებას საქართველო ავისი არსებობის უმძიმესსა და ნსაცდელით აღსავსე ჟამს; სწო- ედ ეს რწმენა დაედო საძირკვ- ად მას, ქრისტიანული სამყაროს უწმინდესი ადგილებიდან ჩამო- ანილ წმინდა ქვებთან ერთად, ამ რწმენის გაცხადება იყო ტაძრის საძირკვლის ჩაყრამდე ხრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ- იარქის, უწმინდესისა და უნე- არესის ილია მეორის ნათქვა- : „ეს არის ისტორიული და ხა- ცარო დღე, როდესაც საფუძვე- ეყრება ძლიერ საქართვე- ლოს“.

— კლდეს ამას ზედა უნდა ავაშენოთ წმინდა სამების ტაძარი ამით ავაშენოთ ჩვენი სული- ი ტაძარი, რომელიც დღეს შე- ეული და დანგრეულია, ჩვენი წინაპრები თავისი სისხლითა და სიცოცხლით იცავდნენ ქრისტიანობას, რადგან სწორედ იგი იყო ქვეყნის ძლიერების საფუძველი, ამიტომ ანგრევდა შემოსული მტერიც უწინარესად ტაძრებს, მადლობა ღმერთს, დღეს დამთავრდა ჟამი ნგრევისა და დადგა ჟამი შენებისა, ჩვენი ერი უბრუნდება თავის ფესვებს, ამიტომ გვინდა, ამ ურთულეს, მაგრამ, ამავე დროს. საინტერესო და ბედნიერ დროს ღვთის სადიდებლად ავაშენოთ ტაძარი, რომელიც გაამთლიანებს არა მარტო ჩვენს მიწა-წყალს, არამედ ქართველ ერს და ყველას, ვინც სიყვარულით ცხოვრობს საქართველოში — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, — განუცხადა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლმა მრავალრიცხოვან მრევლს ამ ამაღელვებელსა და ჩვენი დღევანდელობისათვის უჩვეულოდ ამაღლებულ ცერემონიაზე, რომელიც გახსნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

რწმენისა და სულიერების ჭეშმარიტ ზეიმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

— ეს ის ადგილია, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს დედაქალაქის ყოველი კუთხე, — განაცხადა პრეზიდენტმა, — ისტორიამ იცის, როგორ აღიგავა პირისაგან მიწისა უდიდესი სახელმწიფოები, გიგანტები, მილიონიანი ქვეყნები, პატარა საქართველომ და მისმა მცირერიცხოვანმა ხალხმა კი გაუძლო ათასწლეულებს, თავისი არსებობის ყველაზე მძიმე ორიათასწლეულს, მხოლოდ უზენაესის ნებით შეიძლებოდა, რომ გადავრჩენილიყავით, ჩვენი კულტურა და სულიერება შეგვენარჩუნებინა, ბოლო ათწლეულებში ბევრ ჩვენგანსა და მთლიანად ქვეყანასაც ცოდვიანი გზებით მოუწია სიარული, საბედნიეროდ, ისევ უზენაესის ნებით, გონება კვლავ გაგვინათდა და ავირჩიეთ გზა, რომელიც ღირსეულად გააგრძელებს ჩვენი დიდი წინაპრების მიერ დაწყებულ საქმეს, დღეს, წმინდა სამების ამ გრანდიოზული ტაძრის საძირკვლის ჩაყრით, ჩვენ ღირსეულად ვასრულებთ და მივაცილებთ მე-20 საუკუნეს, მეორე ათასწლეულს, აღნიშნულს ყველა ჩვენი ღირსებით, მადლით და ცოდვით, რაც მთავარია, ჩვენი ხალხი, ისევ და ისევ უზენაესის ნებით, სწორედ ამ გრანდიოზული და დიდებული ტაძრით შეაბიჯებს 21-ე საუკუნეში, მომავალი საუკუნის მიჯნაზე ჩვენ მოწმე და მონაწილე უნდა ვიყოთ წმინდა ტაძრის აგებისა და ყველამ ერთად ამ ხუთი წლის შემდეგ აღვნიშნოთ ჩვენი ისტორიის დიდებული ფურცელი, ამით მესამე ათასწლეულში შევაბიჯებთ, როგორც ერთიანი, განუყოფელი, მძლავრი და ბედნიერი ქვეყანა.





წმინდა ელიას მთაზე უწმინდესმა და უნეტარესმა სამღვდელოებსთან ერთად აღავლინა ტაძრის საძირკვლის საკურთხეველი ლოცვა, აჟღერდა საეკლესიო საგალობლები, წმინდა სამების ტაძრის საძირკველში ჩაეწყო წმინდა ქვები სინას მთიდან, ნაზარეთიდან, იერუსალიმის სიონიდან, იერუსალიმის ქართველთა მონასტრიდან, აჭარიდან, ჯავახეთიდან, აფხაზეთიდან, სვეტიცხოვლიდან, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრიდან, მოწამეთადან, ღირსი მამა შიომღვიმელის, წმინდა საბა-განწმენდილის, სიმონ კანანელის, ანტონ მარტყოფელის საფლავებიდან, კაპადოკიიდან, სინოდან, ელეონის მთიდან, გოლგოთიდან, თაბორის მთიდან, სიონის საკათედრო ტაძრიდან, ბაგრატიდან, გელათიდან, ბაგრატოვანთა სამეფო ტახტის ნაწილი სვეტიცხოვლიდან... უძველესი ტრადიციის მიხედვით, ტაძრის საძირკველში მღვდელმთავრებმა ჩაყარეს ოქროს მონეტები, ბატონიშვილმა ქეთევანმა ტაძრის საძირკველს ჩაატანა ოქროს ბეჭედი ბაგრატოვანთა გერბით, წმინდა ქვათა და ნაწილთა შორის ტაძრის საფუძველში ჩაეწყო ფილები, რომელთაგან ერთზე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლის ლოცვა-კურთხევა იყო აღბეჭდილი, მეორეზე კი — წარწერა: „აქ აშენდება თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მარადიულობის სიმბოლო — წმინდა სამების ტაძარი, იესო ქრისტეს დაბადების ორი ათასი წლის აღსანიშნავად. ღმერთს — ღმრთისა, ადამიანს — ადამიანისა, ედუარდ-გიორგი შევარდნაძე“.

მარადიული „მრავალჟამიერის“ გუგუნში მშენებლებმა საძირკველში ჩაუშვეს სამშენებლო ხსნარი და დაიწყო მშენებლობა ტაძრისა, როგორც უტყუარი მინიშნება იმისა, რომ მომავლისაკენ საქართველოს სავალი გზა მხოლოდ ღვთის გზაა, რომელიც მოყვასის დანდობასა და ურთიერთსიყვარულზე გადის.

ცერემონიის დასრულების შემდეგ ინტერვიუ ვთხოვეთ წმინდა სამების ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელს ირაკლი ანდრიაძეს.

— ადგილი, სადაც უნდა აღმართულიყო დედატაძარი, პროექტის ავტორთან არჩილ მინდიაშვილთან ერთად შევარჩიეთ, ამ გორაზე, ისტორიული წყაროების მიხედვით, იდგა წმინდა ელიას ეკლესია, ამიტომ, ტაძრის მშენებლობის დასრულებამდე გვინდა ამ ადგილას ავაგოთ წმინდა ელიას სახელობის ხის პატარა ეკლესიაის ტაძარი კი, რომლის მშენებლობაც დავიწყეთ, იქნება საქართველოში მოცულობით ყველაზე დიდი ტაძარი, რომლის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 70 მეტრი იქნება.

სამუშაოებს შევუდექით, როგორც იტყვიან, „შიშველი ენთუზიაზმით“, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, ვინაიდან, სახსრების გამოყოფა არც ქვეყანას შეეძლო.

(დასასრული მე-2 გვ.)

სურათებზე: თბილისში წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის საფუძვლის ჩაყრისას.

ჯაბა ლომაძის ფოტო („საქართველოს რესპუბლიკა“).

„შეუძლებელია რეალური ეკონომიკური პროგრესი ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს“

(დასასრული)

საკუთრებით დიდი გადაჭარბებით სრულდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა: 108,6 პროცენტი.

ფინანსთა სამინისტროს შეფასებით, საბაჟო დეპარტამენტმა ვერ შეასრულა ორი თვის საპროგნოზო მონაცემები და დააკლო 1,5 მილიონი ლარი. ეს საკითხი სხვა საკითხებთან ერთად ამ დღეებში მთავრობის სპეციალური მსჯელობის საგანი გახდება.

ეკონომიკის გამოცოცხლების რიტმის დაჩქარება დიდად არის დამოკიდებული გაზაფხულის დადგომის კვალობაზე ენერგოსისტემის ფუნქციონირების მოსალოდნელ გაუმჯობესებაზე. ამავე დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას ინარჩუნებს მოხმარებული ენერგიის საფასურის ამოღების გაუმჯობესება. ეს კვლავ რჩება პრობლემათა პრობლემად. ამ მხრივ გარკვეული დადებითი ზეგავლენა ჰქონდა პრეზიდენტის ცნობილ ბრძანებულებას დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ. მართალია, დაგეგმილი თანხების ამოღება ჯერჯერობით სრულად ვერ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული საქენერგოსთან ანგარიშსწორებაში. კერძოდ, საქენერგომ მომხმარებლებისაგან თებერვლის თვეში მიიღო ფულადი თანხა და მთელი რიგი მატერიალური ფასეულობები, რომელთა საერთო ღირებულება ორჯერ აღემატება იანვრისა და წინა პერიოდის საშუალო მაჩვენებელს, რაც ერთგვარად გააუმჯობესებს სისტემის ფინანსურ მდგომარეობას. ამავე დროს, საქენერგოს ოპერატიული მონაცემებით, ელექტროენერგიის გადაუხდელი საფასურის თანხა ამჟამად 114 მილიონ ლარს აღწევს. დავალიანების მაქსიმალურად შემცირება თითოეული საწარმოს ხელმძღვანელის, სამხარეო რწმუნებულის, გამგებლისა და მერის უპირველესი ამოცანაა.

როგორც აღვნიშნე, ამ დღეებში მთავრობის სხდომაზე სპეციალურად იქნება განხილული როგორც ბიუჯეტის შესრულების, ისე ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მდგომარეობა, საერთოდ ეკონომიკაში არსებული ვითარება, დაისახება ქმედითი და, საჭიროების შემთხვევაში, მკაცრი ღონისძიებებიც.

მივესალმები სადაზღვევო კომპანიების გაერთიანებას, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული ბიზნესის განვითარებისათვის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის.

— რამდენიმე წუთის წინ დასრულდა თქვენი შეხვედრა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. ვიცით, რომ მეშჰედ-სარაქსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნაზე მაისში დაგპატიჟათ დოქტორმა ვილაიეთიმ. იყო სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც...

— ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ალი-აქბარ ვილაიეთისთან გაიმართა უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი საუბარი. მისი ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი იყო ის, რომ ჩემთვის გადმოეცა პრეზიდენტების ბატონ რაფსანჯანისა და ბატონ ნიაზოვის მიწვევა მეშჰედ-სარაქსის რკინიგზის მაგისტრალის გახსნის ცერემონიალში, რომელიც მაისისათვის არის დანიშნული. უნდა ვთქვა, რომ ირანის პრეზიდენტი ამ შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ ეს მაგისტრალი ქართველმა სპეციალისტებმა დააპროექტეს. მისი საექსპლუატაციოდ გადაცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ცენტრალური აზიის, კავკასიის, თურქეთის, სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის, და უფრო ფართო არეალისთვისაც. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ ირანის პრეზიდენტის ღირსსახსოვარი ვიზიტის შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობა დინამიკურად აღმავალი გზით ვითარდება. განვიხილეთ კონკრეტული პროექტები, მოვილაპარაკეთ ჩვენი კავშირურთიერთობის სამართლებრივი ბაზის, კერძოდ, საბაჟო ხელშეკრულებებისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების მომზადების თაობაზე, ხაზგასმულია, რომ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მისი სახელმწიფო აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, საერთოდ, ჩვენში სტაბილურობისა და მშვიდობის დამკვიდრების პრობლემას. ვიმსჯელეთ რეგიონისა და კავკასიის მიმდებარე ქვეყნების აქტიური როლის შესახებ მშვიდობიანი, სტაბილური კავკასიისათვის ერთობლივ ძალისხმევაში. ირანი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ამ უაღრესად მნიშვნელოვან პროცესში.

— კვირის ბოლოს საქართველოს ეწვევა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. სხვა საკითხებთან ერთად ვიზიტის ცენტრალური თემა გახდება კასპიის ადრეული ნავთობის საქართველოზე ტრანსპორტირების საკითხი. ეს, ალბათ, იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი. პრეზიდენტ ალიევის ჩამოსვლას დიდი ხანია ელოდებიან საქართველოში. და კიდევ ერთი ვიზიტის შესახებ: საქართველოში უნდა ჩამობრძანდეს თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე მუსტაფა ქალემლი...

— ჰეიდარ ალიევის ვიზიტს ჩვენში მიიჩნევენ ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენად საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით. ეს ვიზიტი განამტკიცებს აზერბაიჯანთან ჩვენს ისტორიულ, ტრადიციულ ურთიერთობას და სტიმულს მისცემს ძმური კავშირის განვითარებას ორ ქვეყანას, ორ ხალხს შორის ახლო და შორეულ პერსპექტივაში. ჩვენი დიალოგის საგანი იქნება არა მარტო ორმხრივი ურთიერთობა, არამედ განსაკუთრებული მდგომარეობა რეგიონში, კავკასიაში მშვიდობის დამკვიდრების ძირითადი პრინციპები, აგრეთვე გლობალური პოლიტიკის ცალკეული ასპექტები. მათ შორის, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი დაკავშირებული იქნება კასპიის ნავთობის მარშრუტის, ეგრეთ წოდებულ, დასავლეთის მიმართულებასთან. ცნობილია, რომ ეს საკითხი განისაზღვრა და ჩვენ ხელს მოვაწერთ ამ ისტორიულ დოკუმენტს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს დროში დაგეგმილია ჩემი და სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის ფუნდამენტური შეხვედრა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დღის წესრიგში დგება მშვიდობიანი კავკასიისათვის ბრძოლაში თვით კავკასიური ფაქტორის გააქტიურების ამოცანა („კავკასიური დიალოგი“, როგორც ეს გამოთქმა ბატონმა ახსარბეკ გალაზოვმა იხმარა), რა თქმა უნდა, ჩვენი მეზობლების, უწინარესად, რუსეთის, თურქეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების მონაწილეობითაც.

მიმდინარე წლის გაზაფხული ძალიან დიდი პოლიტიკური აქტიურობით იქნება აღნიშნული. მათ შორის მისასალმებელია თურქეთის მეჯლისის ახალი თავმჯდომარის მუსტაფა ქალემლის ვიზიტი, რომელთანაც, დარწმუნებული ვარ, გაიმართება ორი ქვეყნისათვის დამახასიათებელი საქმიანი და უაღრესად მეგობრული დიალოგი.

— გასულ კვირას, ისევე როგორც მთელ წინასაარჩევნო პერიოდში, ძალიან საინტერესო იყო რუსეთში მიმდინარე პროცესები. ალბათ ეს განსაკუთრებით კარგად აისახება რუსეთის პრესაში. კვლავ გამოიკვეთა ერთი თემა: გარკვეული პოლიტიკური ძალები საუბრობენ იმის შესახებ, რომ არსებობს საბჭოთა კავშირის აღდგენის შანსი. რამდენად რეალურად მიიჩნევთ ამ პერსპექტივას?

— მსჯელობა ამ თემაზე, მით უმეტეს, ამ პრობლემის დღის წესრიგში დაყენება, ანაქრონიზმად მიმაჩნია და მინდა შემდეგი განვაცხადო: დროა, პოლიტიკოსებმაც და, უბრალოდ, მოქალაქეებმაც, გააცნობიერონ, რომ საბჭოთა კავშირის აღდგენის ყოველგვარი ცდა, თუნდაც ლოზუნგების დონეზე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დაშლის დასაწყისი გახდება. თუ რას მოუტანს რუსეთს თანამეგობრობის შესაძლო დეზინტეგრაცია, ამაზე ყველას ღრმად ჩაფიქრება მართებს.

— საქართველოს საშინაო პოლიტიკისათვის აფხაზეთის საკითხი კვლავ უმწვავეს თემად რჩება. 19 იანვრის სამიტზე რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის ახალი მანდატისა და საპოლიციო ფუნქციების მინიჭებაზე იყო ლაპარაკი. რა მდგომარეობაა ამ მხრივ, შესრულდება თუ არა ამჯერად თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა ერთობლივი გადაწყვეტილება აფხაზეთის მიმართ?

— სამშვიდობო ძალების მანდატზე მუშაობის პროცესი სერიოზულ საფუძველს გვაძლევს გარკვეული შეშფოთებისათვის. დრო, მართალია, კიდევ არის — იქნებ საქმე უკეთ წარიმართოს, ვიმედოვნებ და ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს, მაგრამ, თუ თანამეგობრობის მოსკოვის სამიტამდე, რომელიც 19 მაისს გაიმართება, რეალური ძვრები არ მოხდა, რუსეთის საშუამავლო მისიის ეფექტიანობის საკითხი, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი კითხვის ქვეშ დადგება.

მე სამშვიდობო მისიის აქტიური მომხრე ვიყავი და დღესაც ვრჩები. ბუნებრივია, შეიძლება დაისვას კითხვა: რა იქნება შემდეგ? თუ ვერ მივიღეთ ის შედეგი, რომელსაც ველოდებით და ელოდება მთელი მსოფლიო, საჭირო იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი უშიშროების საბჭოს, ევროპული სტრუქტურების რადიკალური გააქტიურება. ვფიქრობ, რომ ამისათვის ისინი მზად იქნებიან. არ მინდა ახლა ანალოგია გავავლო ბოსნიასა და აფხაზეთს შორის, მაგრამ რეზერვები არსებობს და ისინი აუცილებლად იქნება გამოყენებული. ყველამ უნდა გააცნობიეროს ეს, აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის მეთაურებმაც, შესაბამისმა ხელმძღვანელებმა რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც, რომ კავკასიაში მშვიდობის პრობლემა, მშვიდობიანი კავკასია უკვე მარტო საკუთრივ ჩვენი საქმე აღარ არის, ეს მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა და აქედან გამომდინარე — მრავალი და მრავალი ქვეყნის, ყველა საერთაშორისო სტრუქტურის უაღრესად დიდი დაინტერესება მშვიდობიანი კავკასიით გრძელდება.

— გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო საქართველოსათვის. საფუძველი ჩაეყარა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ასეთი შეფასება მისცა ამ დღეს: დამთავრდა ჟამი ნგრევისა, საქართველო უბრუნდება თავის ფესვებს.

— წმინდა სამების ტაძარი, რომელიც, როგორც გუშინ ვთქვი, უზენაესის შთაგონებით შენდება, ახალი, ერთიანი, ძლიერი და აყვავებული საქართველოს სიმბოლო იქნება. სწორედ ამ ტაძრით შევდივართ მესამე ათასწლეულში. ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე, შესაძლებლობის ფარგლებში, თუნდაც ეს ერთი თეთრი ან ერთი ლარი იყოს, შეიტანს წვლილს ამ მართლაცდა საუკუნის პროექტის განხორციელებაში.

„დამთავრდა ჟამი ნგრევისა და დადგა ჟამი შენებისა“

(დასასრული)

[illegible] — მოსახლეობას შედგა [illegible]ულის დამუშავების პროექტი, რომლის განხორციელება შარშან, 20 ნოემბერს დაიწყო. მოსამზადებელი და მთლიანად მშენებლობის საკითხების გადაწყვეტა იკისრა „საქგვირაბმშენმა“ (მმართველი — ავთანდილ ჩალაძე), რომელმაც უსასყიდლოდ, საკუთარი ხარჯებით შეასრულა გეოლოგიური და საძიებო სამუშაოები. შესრულებულია მართლაც ვეებერთელა სამუშაო — ამოღებულია 70 კუბური მეტრი მიწა, 29 თებერვალს მოეწერა ხელი დოკუმენტს მშენებლობისათვის ფუძის მზადყოფნის შესახებ.

როგორც ბატონმა ირაკლიმ განაცხადა, ტაძრის მშენებლობის დასაფინანსებლად არ დახარჯულა არც ერთი ლარი სახელმწიფო ხაზინიდან და არც არის გათვალისწინებული, ვინაიდან ეს ბიუჯეტისათვის ძალიან დიდი დანახარჯი იქნებოდა. საპატრიარქოსთან შექმნილია სპეციალური ბანკი, სადაც ირიცხება ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მიერ გაღებული თანხები. 27 თებერვლის მონაცემებით, ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე შემოსული იყო 77.055 ლარი, 1.646.500 რუსული რუბლი, 10.836 ამერიკული დოლარი, 15 გირვანქა სტერლინგი. ტაძარს 15 ათასი დოლარის ღირებულების 50 ტონა არმატურა გამოუგზავნეს მოსკოვში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა, რომლებიც კვლავაც გვპირდებიან დახმარებას. საუკუნის მშენებლობას 6 ათასი დოლარი შემოსწირა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. შემოწირულობათა აღრიცხვასა და მიზნობრივი ხარჯვის ორგანიზება ევალება ტაძრის მშენებლობის ფონდს. და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: შემოღებულია სპეციალური წიგნი, რომელშიც შევა ყველა მოქალაქე და ორგანიზაცია, რომელიც წვლილს შეიტანს ტაძრის მშენებლობის დიდმნიშვნელოვან საქმეში. წიგნს ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. წიგნის გვერდები დანომრილი და დაბეჭდილია. გაკეთდება წიგნის სამი ეგზემპლარი, რომელთაგან ერთი საპატრიარქოში შეინახება, მეორე — სახელმწიფო არქივში, მესამე — ტაძრის მშენებლობის ფონდში. ამ ისტორიული მნიშვნელობის წიგნში, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა, დაფიქსირდება გრანდიოზული მშენებლობის ყველა მ შვნელოვანი მომენტი.

—მინდა გამოვხატო ულ სი პატივისცემა და გულწრფ მადლობა გადავუხადო ყველა სპეციალისტებს, გეოლოგ ფუძე-საძირკვლის მეცნიერ უანგარო და გულმხურვალე შრომისათვის, — განაცხადა ზრის დასასრულს ბატონმა ი ლი ანდრიაძემ. — მადლობა და გადავუხადო ყველას, მობრძანდა ამ ისტორიულ ამ წმინდა ადგილზე. განსაკუთ ბული სიხარულის მომგვრე ახალგაზრდობის, მომავალი თ ბის წარმომადგენელთა სიმ ლე, ვინაიდან სწორედ მათ ილოცონ ამ ტაძარში.

* * *

დამატებითი ინფორმაცია: ძრის საძირკვლის ჩაყრის მონ ლე მორწმუნეებმა მშენებლ შემოსწირეს 4.500 ლარი 1.600 ამერიკული დოლარი.

მაია ალუდაური

საქინფორმის კორ

გუშინ საღამოს თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია
თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე დოქტორი მუსტაფა ქალემლი

დაიბადა 1943 წლის 26 მარტს ქუთაპიას თავშანლის ოლქში.

დაწყებითი განათლება მიიღო თავშანლიში, ხოლო ლიცეუმი 1961 წელს დაამთავრა ესქიშეჰირში, 1967 წელს დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

1967-68 წლებში მუშაობდა ექიმად სოციალური დაზღვევის ორგანიზაციის თუნჩბილეკის საავადმყოფოში, 1968 წელს დაიწყო მუშაობა ასისტენტად ანკარის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის უროლოგიის კათედრაზე. 1972 წელს ასრულებდა სამხედრო მოვალეობას რეზერვის ოფიცრად. მუშაობდა უროლოგიის განყოფილების უფროსად ანკარის სამხედრო სტაციონარულ საავადმყოფოში. 1974 წელს დაასრულა რეზერვის ოფიცრის მოვალეობა. დემობილიზაციის შემდეგ, მუშაობდა ანკარის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის უროლოგიის კლინიკის მთავარ ასისტენტად.

1976-78 წლებში მონაწილეობდა ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტროს ანკარის სასწრაფო დახმარებისა და საგზაო საავადმყოფოს ჩამოყალიბების საქმიანობაში, ასრულებდა მთავარი ექიმის მოადგილის მოვალეობას, გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ანკარის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის უროლოგიის კლინიკის მთავარი ასისტენტის მოვალეობის შესრულებას.

1978 წელს სპეციალური სამუშაოები განახორციელა ჰამბურგის უნივერსიტეტის ეფენდორფის საავადმყოფოში ანდროლოგიისა და თირკმლის გადანერგვის საკითხებზე. 1978 წლის 28 აპრილს ანკარის უნივერსიტეტის დოცენტის წოდება მიიღო.

1979 წლის 19 სექტემბრიდან 1982 წლის 5 იანვრამდე მუშაობდა ანტალიის სამედიცინო ფაკულტეტის შექმნაზე. ამავე დროს იყო ფაკულტეტის უროლოგიის კათედრის გამგე და ფაკულტეტის ხელმძღვანელთა საბჭოს წევრი.

1982 წლის 5 იანვრიდან 1983 წლის ივნისამდე მუშაობდა სოციალური დაზღვევის ორგანიზაციის თავშანლის საავადმყოფოს დამაარსებელ მთავარ ექიმად.

1983 წლის ივნისიდან 1983 წლის 25 ივლისამდე მუშაობდა სოციალური დაზღვევის იზმირ-ბურსას საავადმყოფოს უროლოგიის კლინიკის უფრო

1983 წლის 6 ნოემბერს მონაწილეობა მი საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებში და ა ჩიეს დეპუტატად ქიუთაჰიიდან.

1983 წლის 13 დეკემბერს დაინიშნა შრ მინისტრად, 1983 წლის 14 დეკემბერს — შ მისა და სოციალური უზრუნველყოფის მინი რად. ამ პოსტზე დაჰყო 1986 წლის 17 ოქტ ბრამდე.

1986 წლის 17 ოქტომბრიდან 1987 წლის დეკემბრამდე მუშაობდა ჯანდაცვისა და სოც ლური დახმარების მინისტრად.

1987 წლის 29 ნოემბერს საყოველთაო საპ ლამენტო არჩევნებში კვლავ აირჩიეს დეპუტ ქიუთაპიიდან და 1987 წლის 21 დეკემბერს მოყალიბებულ მთავრობაში დაინიშნა შინაგან ს მეთა მინისტრის პოსტზე. ამ მოვალეობას ას ლებდა 1989 წლის 31 მარტამდე.

დეპუტატის რანგში გახლდათ ევროგაერთიან პარლამენტის კომისიის თურქული ჯგუფის წ ხოლო მოგვიანებით — ევროპის საბჭოს პარ მენტართა სხდომის თურქული ჯგუფის წე იყო თურქეთის დიდი ეროვნული კრების ს რეო საქმეთა კომისიის წევრი და ამავე კომის თავმჯდომარის მოადგილე.

1991 წლის 24 ივნისს მესუთ ილმაზის მ ჩამოყალიბებულ მთავრობაში მეორედ დაინი შინაგან საქმეთა მინისტრად. ამავე წლის 26 ვისტოს დაინიშნა ახლად შექმნილ სატყეო სა ნისტროს ხელმძღვანელად. 1991 წლის 12 ნო ბრიდან 1993 წლის 23 აგვისტომდე ასრულე დედესამშობლოს პარტიის თავმჯდომარის მოად ლის მოვალეობას.

გამოქვეყნებული აქვს თავის პროფესიასთან კავშირებული წიგნები. ფლობს ინგლისურ ე ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. 1993 წლის 1 ს ტემბრიდან იყო მე-19 მოწვევის თურქეთის დი ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგი ამავე დროს, ასრულებდა თურქულ-გერმანუ გაერთიანებული პარლამენტის სამუშაო ჯგუ თურქული მხარის თავმჯდომარის მოვალეო 1995 წლის 24 დეკემბერს გამართულ საყოვე თაო საპარლამენტო არჩევნებში კვლავ აირ დეპუტატად ქიუთაპიიდან.

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სამი ყველაზე მთავარი საზრუნავია სამშობლოს უშიშროება, სამშობლოს კეთილდღეობა და სამშობლოს სახელი

(გაგრძელება)

გან ბედმა წილად გარგუნათ უნიკალური შანსი — საკუთარი წვლილი შეიტანოთ ახალი საქართველოს საგარეო პოლიტიკის საფუძვლების შექმნაში, მისი დიპლომატიური სკოლის ჩამოყალიბებაში. მაგრამ სიხარულსა და სიამაყეს თან უნდა სდევდეს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა; სრული გააზრება იმისა, რომ თქვენი ყოველი ნაბიჯი გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზე, და რამდენადაც დღეს არათუ მცირე, ზესახელმწიფოებიც კი ვერ არსებობენ გარე სამყაროსგან იზოლირებულად, ამ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის, მისი ყოველი მოქალაქის კეთილდღეობისთვის. თქვენ პირველები წარმოაჩენთ საქართველოს დიდ საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე და ხიდი უნდა გახდეთ მათთვის, ვინც თქვენს შემდეგ მოვა.

ყველა, ვინც დღევანდელი მსოფლიოს საგარეო პოლიტიკას აყალიბებს თუ წარმართავს, კაცობრიობის ყველაზე ხანგრძლივი ომის — „ცივი ომის“ სუსხიდან მოვედით. და ყველანი, ვინც ამ დარბაზში შევიკრიბეთ, გვსურს ეს თუ არა, გარკვეული დროის მანძილზე კიდევ ვიგრძნობთ ამ სუსხს. დიახ, ბერლინის კედელი დაეცა, მაგრამ, სამწუხაროდ, მსოფლიო და, მაშასადამე საქართველოც დღეს ისეთი არ არის, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ჩვენ ყველანი რომ „ცივი ომის“ დასასრულს მომზადებულნი შევხვედროდით. ვინ, თუ არა ჩვენმა ტანჯულმა ქვეყანამ იცის, თუ რა შედეგი მოიტანა მსოფლიოში გამეფებულმა გამარჯვებით გამოწვეულმა ეიფორიამ, თუ რა შედეგი მოაქვს იმის გაუცნობიერებლობას, რომ „ცივი ომის“ დასასრული და მისი რეციდივების აღმოფხვრა ერთჯერადი აქტი კი არა, ხანგრძლივი, მტკივნეული და გამარჯვებებით თუ იმედგაცრუებებით აღსავსე პროცესია.

და მაინც, როგორი წინააღმდეგობრივიც უნდა იყოს დღევანდელი მსოფლიო, იგი თვისობრივად განსხვავდება გუშინდელისაგან. ოთხმოციან წლებში მომხდარმა ტექტონიკურმა ძვრებმა, რომელთაც გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ ამ საუკუნის უდიდესი რევოლუცია, გაათავისუფლეს იგი ბიპოლარული დაპირისპირების მძიმე ტვირთისგან. წარსულის სისხლიანი რევოლუციებისგან განსხვავებით, იგი არ ატარებდა კლასობრივ ხასიათს და არ ისახავდა მიზნად საზოგადოების რომელიმე ფენის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. ეს რევოლუცია ჩაისახა და განვითარდა ღირებულებათა სფეროში და ემსახურებოდა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკის იდეოლოგიური ქიმერებისგან გათავისუფლებას. კერძოდ, საგარეო პოლიტიკაში ვიწრო კლასობრივი, იდეოლოგიზირებული მიდგომების ნაცვლად დამკვიდრდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიმატი, საერთაშორისო პოლიტიკა, დიპლომატია გათავისუფლდნენ კლასობრივ-იდეოლოგიური კლანჭებისგან, რამაც ისტორიულად მოკლე ვადაში მოახდინა პარადიგმული ხასიათის ცვლილებები. „ცივი ომი“, რომელიც ყოველ წამს შეიძლებოდა ბირთვულ ხანძრად აალებულიყო და მოხდებოდა მთელს პლანეტას, დამთავრდა. იდეოლოგიურ დოგმათა ტყვეობისგან გათავისუფლდნენ ადამიანები, ხალხები, ქვეყნები და მათ შორის ჩვენი სამშობლოც.

ახლად მოპოვებულმა თავისუფლებამ წარმოშვა აქამდე უცნობი ან იქნებ, უბრალოდ, მივიწყებული მძაფრი პრობლემები, გამოათავისუფლა დესტრუქციული ინსტინქტები, ანგარებიანი ძალების თარეში. თავისუფლების მოპოვებამდე ათეული წლობით რუდუნებით გამოლვიძებულმა ეროვნულმა ენერგიამ ვაი ხელმძღვანელთა და ვაი ლიდერთა წყალობით, გარკვეული აზრით დამანგრეველი ფუნქცია შეიძინა. ბოლო წლებში საქართველომ ყველაფერი იწვნია — შეიარაღებული შიდა კონფლიქტები, სამოქალაქო ომები, კრიმინალური ბაქანალიები და სახელმწიფოებრიობის ნგრევა. ყველაფერი ნულიდან უნდა დაგვეწყო.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების პირველივე დღეებიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს ხალხს, პრაქტიკულად პირველად მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მიეცა თავისი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება, ჩვენმა ქვეყანამ მტკიცედ და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ დაადგა დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზას. თუმცა ჩვენ მაშინვე გვქონდა გაცნობიერებული, რომ ამ გზით სიარული არ იქნებოდა ადვილი, რადგან ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებას დიდი დრო და მსხვერპლი დასჭირდა ახლა უკვე ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და საფრანგეთია. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო პარალიზებული ქვეყანა, სადაც განუკითხავად დათარეშობდნენ სხვადასხვა სახის შეიარაღებული ბანდები. ამგვარ სიტუაციაში, როდესაც ხალხი უაღრესად შეჭირვებული იყო ქვეყანაში არსებული ქაოსით, განუკითხაობით და პირდაპირ მოითხოვდა კანონიერების აღდგენას ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, დიდი იყო დიქტატურის გზით წესრიგის დამყარების ცდუნება. ამგვარი ცდუნების პირისპირ, თუ ისტორიას გადავხედავთ, მარტო ჩვენ როდი აღმოვჩენილვართ.

და მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ გვევლო გრძელი, ქანცგამწყვეტი, ურწმუნოთათვის მცდარი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ერთადერთი სწორი გზით. ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური აზრი დროის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ქვეყანაში გამეფებული დანაშაულებრივი კლანებისა და ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოკალათებული ტერორისტების ზრახვებს დაუპირისპირა ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის შექმნის პროცესი. მე, როგორც ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის დამსახურება, რომელიც ყოფილ პარლამენტს მიუძღვის ქვეყნის წინაშე. მიუხედავად პარტიული და კერძო ინტერესებით გამოწვეული ზოგიერთი წინააღმდეგობისა, პარლამენტი მთლიანობაში იშვიათი ერთსულოვნებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ მართლაცდა საშვილიშვილო საქმეს. შედეგად მივიღეთ მსოფლიო დონის კონსტიტუცია, რომელიც კანონის უზენაესობის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მტკიცე გარანტია.

ახალი კონსტიტუციის ბაზაზე, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, შესაძლებელი გახდა ჭეშმარიტი დემოკრატიისათვის აუცილებელი ხელისუფლების დაყოფის პრინციპის განხორციელება, რომელიც ძლიერი საპარლამენტო და საპრეზიდენტო ინსტიტუტებისა და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნაში მდგომარეობს.

5 ნოემბერს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ხალხის ნების თავისუფალი და დემოკრატიული გამოხატვის ჭეშმარიტი მაგალითია. ამგვარი განცხადებისთვის საფუძველს გვაძლევს ის უმაღლესი შეფასება, რომელიც ჩვენს არჩევნებს მისცა ისეთმა კომპეტენტურმა და ავტორიტეტულმა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორც ევროპის საბჭოა. ამავე აზრის იყვნენ არჩევნებზე ჩამოსული დამკვირვებლები ევროპარლამენტიდან, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეიდან, გაეროდან და მრავალი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციიდან თუ სახელმწიფოდან.

დღეს მოქმედი პარლამენტის არჩევით ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხუთპროცენტიანი ბარიერის შემოღებამ შესაძლებელი გახადა პარლამენტში მოხვედრილიყვნენ მხოლოდ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ საზოგადოების დიდი უმრავლესობის ინტერესებს. ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ ახალ პარლამენტზე. ამის საფუძველს გვაძლევს მისი მუშაობის სტილი, რომელიც გამოირჩევა საშური პროფესიონალიზმით, ფრაქციებს შორის თანამშრომლობის სურვილით, დროისა და ქვეყნის წინაშე დასმული პრობლემური ამოცანების მძაფრი შეგრძნებით. შეიძლება ითქვას, რომ ისე როგორც ძველ პარლამენტზე იყო დამოკიდებული კონსტიტუციის მიღების და შესაბამისად კანონიერების აღდგენის ბედი, ახლაც, ახალი პარლამენტისა და პრეზიდენტის ხელშია ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანად განხორციელებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური აღმავლობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმე. მთავარია, პარლამენტი არ ჩამორჩეს ცხოვრების მაჯისცემას, დროულად მიიღოს ყველა კანონი, რომელიც რეფორმის განხორციელებისათვის არის საჭირო. საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული საპარლამენტო კულტურის ფორმირებაში და ამ მხრივ ჩვენი ელჩების ინფორმაციები და ინიციატივები მისასალმებელია. უკვე გვაქვს ამის საუკეთესო მაგალითები — აღვნიშნავ ბ-ნ ვაჟა ლორთქიფანიძის მუშაობას რუსეთის არცთუ იოლ პარლამენტთან.

არანაკლები დატვირთვით და მონდომებით უნდა იმუშაოს ხელისუფლების აღმასრულებელმა რგოლმაც, რომლის სტრუქტურული და საკადრო გადახალისების პროცესი უკვე თითქმის დასრულდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლების ამ რგოლში, კომუნისტური რეჟიმიდან მოყოლებული ჩვენი რეფორმების დაწყებამდე, არც რაოდენობრივად და არც თვისებრივად, ბიუროკრატიული აპარატი არსებითად არ შეცვლილა. მმართველობის სისტემის ახლახან ჩატარებული გამარტივება მისი ეფექტიანი ფუნქციონირების საწინდარია. უცხოური გამოცდილება აქაც ფანქრით ხელში უნდა შევისწავლოთ, განვაზოგადოთ და საკუთარ ნიადაგში ჩავნერგოთ. აქაც დიდი იქნება თქვენი ინიციატივიანი და დაინტერესებული საქმიანობის როლი.

მოგეხსენებათ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, კონსტიტუციის შესაბამისად, შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო კანცელარია. ეს სრულიად ახალი ინსტიტუტია ჩვენი ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ისტორიაში და ის უნდა გადაიქცეს მძლავრ ბერკეტად, რომლის საშუალებითაც პრეზიდენტი განახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. კანცელარია უნდა იქცეს ქვეყნის ყველაზე დიდ რეფორმატორულ ცენტრად და უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ უაღრესად კეთილსინდისიერი და კვალიფიციური სპეციალისტებით.

რამდენიმე სიტყვით შევეხები იმ ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებიც საქართველოს მთავრობის რეფორმების ჯგუფის ხელმძღვანელობითა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციებით უკვე წელიწადნახევარზე მეტია მიმდინარეობს. უნდა გითხრათ, რომ ამ რეფორმების მიზანი მხოლოდ ეკონომიკის გარდაქმნა და აღმავლობა როდია. მათი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნება მერიტოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოება. პრივატიზაცია, ძლიერი კერძო სექტორის ჩამოყალიბება, მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება, რისკენაც მიმართულია ეს ცვლილებები ხელს შეუწყობს საშუალო კლასის — მეწარმეთა და გადასახადების გადამხდელთა საზოგადოების ჩამოყალიბებას, ისე როგორც ეს არის ყველა მოწინავე განვითარებულ ქვეყანაში. ამდენად, ჩვენთვის ამ რეფორმების ბედი ორმაგად ძვირფასია. ერთის მხრივ, მათი გამარჯვება ჩვენს ხალხს მოუტანს ეკონომიკურ კეთილდღეობას, ხოლო, მეორე მხრივ, ეს იქნება ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი ტოტალიტარიზმისა თუ ავტორიტარიზმის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მტკიცე გარანტია.

ჩვენ ხშირად ვაცხადებთ, რომ საქართველომ უნდა დაიკავოს ღირსეული ადგილი მოწინავე, ცივილიზებული ქვეყნების ოჯახში, მაგრამ გვიფიქრია კი იმაზე, თუ რა არის ამისათვის გასაკეთებელი? ვაცნობიერებთ კი იმ აზრს, რომ მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებით მოვახერხებთ ჩვენი ეკონომიკის აყვავებას და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას? ამის მისაღწევად კი საჭიროა დავიცვათ თამაშის ის წესები, რომლებსაც გვთავაზობს საერთაშორისო საზოგადოებრიობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ისევ ჩავეშვებით იზოლაციონიზმისა და სტაგნაციის ჭაობში. ხოლო თუ რას ნიშნავს ეს, თქვენ კარგად იცით ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიის მაგალითით. ქართული სახელმწიფოს ელჩები საზღვარგარეთ ჩვენი მთავარი ეკონომიკური წარმომადგენლები და, თუ გნებავთ, მთავარი მრჩევლები არიან. თქვენ არ გაქვთ უფრო მაღალი ამოცანა, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა და ამ პროცესში თქვენი წვლილის შეტანა. თქვენი მუშაობის ხარისხი ამ მიზნის მისაღწევად ბრძოლაში მონაწილეობის დონით განისაზღვრ

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი რეალური დამოუკიდებლ მოპოვების გზაზე ეროვნული ფულის შემოღება იყო. მკაცრი და მიმდევრული მონეტარული პოლიტიკის წყალობით ქართული ვა ტა უკვე ერთი წელიწადია ერთ-ერთი მყარი ფულადი ერთეუ მრავალი ქვეყნის ფულად ერთეულთა შორის. ახლა მთავარია ბული ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდეს, განმტკიცდეს და გაფარ ვდეს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უპასუხებს საერთაშორისო თხოვნებს. დროა ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ ამ ფორმების განხორციელება დროის აუცილებელი მოთხოვნაა არა რომელიმე ფინანსური თუ პოლიტიკური ცენტრის ახირებ დიქტატი, როგორც ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი წევრი რობს. მე მტკიცედ მწამს, რომ საქართველო ერთ-ერთი სამაგა თო ქვეყანა გახდება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამავალი ეტაპის წარმატებით დაძლევის თვალსაზრისით.

ასეთია ის შიდაპოლიტიკური ფონი, რომელზეც ამ ხნის ძლიზე გვიხდებოდა საგარეო ურთიერთობების განხორციელ შევეცდები ძალზე მოკლედ მიმოვიხილო საქართველოს მიერ რთაშორისო ასპარეზზე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ლილი გზა და შევეხო იმ პრიორიტეტულ მიმართულებებსაც, რომ ლებიც მომავალში განსაზღვრავს ჩვენი სახელმწიფოს ადგილს ფლიოში. მინდა შეგახსენოთ, რომ თავისი მრავალსაუკუნოვანი ტორიის მანძილზე საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ერთი ტრიუმფიც უზეიმია და მარცხიც განუცდია. ჩვენი დიდი ლიტიკოსების გამოცდილება გვასწავლის, რომ განგების მიერ ლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო შფოთიან რეგიონში განლაგე ჩვენი ქვეყანა მაშინ აღწევდა გამარჯვებებს, როცა მისი საგ პოლიტიკის უზენაესი მიზანი სახელმწიფოს უსაფრთხოება და ქალაქეთა კეთილდღეობა იყო და, პირიქით, მარცხი თან გვდე როცა ჩვენს მიერვე გამოგონილი ან თავს მოხვეული ქიმერ ტყვეობაში აღმოვჩნდებოდით ხოლმე. საქართველოს უახლესმა ტორიამ სხვასთან ერთად ეს გაკვეთილიც ჩაგვიტარა: ქვეყნის რეო პოლიტიკა არ უნდა იქცეს ერთი შეხედვით მიმზიდველი, დორომანტიული და, ამგვარად, რეალობას მოწყვეტილი იდე თუ თეორიული პოსტულატების განხორციელების ასპარეზად. ქართველოსთვის გაუმართლებელი ფუფუნება იქნებოდა რაიმე საგარეო პოლიტიკური ორიენტირის ძიება გარდა მეგობრობ ყველა სახელმწიფოსთან, ახლოსთან თუ შორეულთან. შეხამ პოლიტიკაში სიტყვა „მეგობრობა“ ოდნავ არაპროფესიულად დეს, მაგრამ სხვასთან ერთად სწორედ ამ პრინციპის განხორცი ბამ გახადა შესაძლებელი ჩვენი გამოსვლა საგარეო პოლიტ იზოლაციიდან, სწორედ მან შეუწყო ხელი ევროპის მიერ აღიარებას ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემად ნაწილად და მანვე აქცია საქართველო 21-ე საუკუნის საბადოებიდან ნავთობის ტრანსპორტირებისთვის მიმზიდველ რანზიტო ქვეყნად.

სოციოლოგების თქმით, დღევანდელი მსოფლიო დაემსგავსა „გ ბალურ სოფელს“, სადაც ინფორმაცია უმალ ვრცელდება და ყველაზეა დამოკიდებული. მართლაც, საგარეო ფაქტორები უფრო ხშირად ახდენს გავლენას თვით ეკონომიკური გიგან შიდაპოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეც კი. აღარას ვამბობ ახ აღმოცენებულ მცირე სახელმწიფოებზე, რომელთათვისაც სამყაროს გავლენა ხშირ შემთხვევაში განმსაზღვრელია, ამას იმ შეგახსენებთ, რომ კარგად გვქონდეს გააზრებული საგარეო ერთობების როლი ჩვენი ქვეყნის არსებობაში. რომ არა ჩვენი გობრების გადამწყვეტი პოლიტიკური, ფინანსური, ჰუმანიტარულ მორალური დახმარება მაშინ, როცა ჩვენი ყოფნა-არყოფნის სა ხი წყდებოდა, შესაძლოა მომხდარიყო ყველაზე უარესი — და

(დასასრული მე-8 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სამი ყველაზე მთავარი საზრუნავია: სამშობლოს უშიშროება, სამშობლოს კეთილდღეობა და სამშობლოს სახელი

(დასასრული)

ლიურ ქვეყნის დაშლის შეუქცევადი პროცესი. სხვათა შორის, ის მარება ნდობის ერთგვარი ავანსი იყო სახელმწიფოსთვის, რომელიც იმ პერიოდში ვერც დემოკრატიული პრინციპების და ვერც ადამიანის უფლებების დაცვის ერთგულებით ვერ დაიკვეხნიდა. ერთგვარი სიამაყის გრძნობით მინდა განვაცხადო, რომ საქართველო ნდობის სიმაღლეზე აღმოჩნდა. ჩვენ დღესაც გვეხმარებიან, ფასდაუდებელია ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, მთლიანად ევროკავშირის, თურქეთის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, გაეროს, ევროუშიშროების ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვა საქართველოზე. ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინათ, გაპარტახებული, ომების ცეცხლში გახვეული ჩვენი სახელმწიფო დღეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია. საქართველო წევრია ნატოს პროგრამისა „პარტნიორობა მშვიდობისთვის" და ხელი აქვს მოწერილი ნატოსთან ინდივიდუალურ თანამშრომლობის პროგრამაზე. პარაფირებულია და ხელმოსაწერად მზად არის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ევროკავშირთან — ევროპის 15 უდიდესი სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებასთან. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საქართველოსთვის ევროპის საბჭოში „სპეციალური სტუმრის" სტატუსის მისანიჭებლად, საქართველო გახდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ალიანსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. შექმნილია სახელშეკრულებო ბაზა მსოფლიოს 25-ზე მეტ ქვეყანასთან.

ცალკე მინდა შევჩერდე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაზე. რა თქმა უნდა, აქ ცენტრალური საკითხი რუსეთთან ურთიერთობაა. ამ საკითხზე დიდხანს არ შევჩერდები, ვინაიდან ბატონმა ვაჟა ლორთქიფანიძემ საკმაოდ დამაჯერებლად ილაპარაკა ამ თემაზე. მე თავის დროზე ვთქვი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა არის და იქნება განსაკუთრებული და, ჩემი აზრით, ამ სიტყვაში ჩადებულია ის ძირითადი ამოცანა, რომელიც ორივე სახელმწიფომ ერთად უნდა გადაწყვიტოს ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის ახალი ურთიერთობების მშენებლობის პროცესში. რაც შეეხება თანამეგობრობას, ამ ძალზე დიდი პოტენციალის მქონე რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაერთიანებულია ის ქვეყნები, რომელთაც ხანგრძლივი თანაცხოვრების გამოცდილება გააჩნიათ. ეს თითოეული ჩვენგანის კაპიტალია და მის გონიერად, ვიმეორებ გონიერად გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული თანამეგობრობის ყოველი წევრის უსაფრთხოება, კეთილდღეობა და თვით ორგანიზაციის ცხოველმყოფელობა. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ორგანიზაცია დინამიურად ვითარდება და მასში სულ უფრო ფეხს იკიდებს ცივილიზებული ინტეგრაციული სისტემებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობათა ნორმები. ამასთან ერთად, ბოლო ხანს გაისმის მოწოდებები საბჭოთა კავშირის აღდგენის თაობაზე. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ როგორი ანაქრონიზმი იქნებოდა საბჭოთა კავშირი დღევანდელ მსოფლიოში. მაგრამ, არ შემიძლია, შეშფოთებით არ აღვნიშნო, რომ ეს აბსურდული და ერთი შეხედვით, გულუბრყვილო განცხადებები ძირს უთხრის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის იდეას და შეიძლება იქცეს თანამეგობრობის დასასრულის დასაწყისად.

საერთაშორისო ურთიერთობებში ფართოდ არის გავრცელებული სასიცოცხლო ინტერესების სფეროს ცნება. ზესახელმწიფოებისგან განსხვავებით, რომლებისთვისაც ლამის დედამიწის მეორე ნახევარსფეროში მიმდინარე მოვლენები წარმოადგენს ყოფნა-არყოფნის საკითხს, მცირე სახელმწიფოთათვის ეს არეალი გაცილებით უფრო ვიწროა. საქართველოს არსებობის ზონაა კავკასია. ჩვენ აქ ვართ და აქ ვიქნებით. ეს არის ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების სფერო. კავკასიაში პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაცია და გრძელვადიანი მშვიდობის მყარი გარანტიების შექმნა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების და მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. დღეს, ისევე როგორც მრავალჯერ მისი ისტორიის მანძილზე, კავკასიაში კვლავ იღვრება სისხლი. დღეს იგი ქცეულა ულმობელი დაპირისპირების, ქსენოფობიის, ველური ნაციონალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის სათარეშო ასპარეზად. დროა, რეგიონის ყველა სახელმწიფომ — რუსეთმა, თურქეთმა, ირანმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ — ერთად ვიფიქროთ კავკასიის ჰარმონიულ მომავალზე. სიკვდილი და ნგრევა ბევრი იყო. ახლა უნდა დადგეს „ჟამი სიცოცხლისა" კავკასიაში. მიმაჩნია რომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს ის ქცევის კოდექსი, ის ძირითადი პრინციპები, რომელთა დაცვა რეგიონის ყველა სახელმწიფოს, ყველა ხალხის მიერ იქცევა მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიად.

1. სახელმწიფო საზღვრების აღდგენა საერთაშორისოდ ცნობილ ფარგლებში. ამის შემდეგ უარი უნდა ითქვას ნებისმიერ ტერიტორიულ პრეტენზიაზე, ხოლო კონფლიქტის წამოწყება დაუყოვნებლივ კოლექტიურად დაიგმოს და აილაგმოს შეერთებული ძალებით.

2. ადამიანის უფლებების დაცვა ყველგან და ყოველთვის. მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა და შენარჩუნება შეუძლებელი იქნება ამ ფუძემდებლური პრინციპის განხორციელების გარეშე.

3. სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციების დაცვა და მათი ბლოკირების სრული მიუღებლობა. ხელსაყრელი მდებარეობა კავკასიის ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსია და მისი გამოყენებით რეგიონს გლობალური მნიშვნელობის სატრანზიტო ფუნქციის შეძენა შეუძლია. ამიტომაც, კომუნიკაციების ხელყოფა უნდა განიხილებოდეს, როგორც დანაშაულებრივი აქტი, მიმართული მთელი რეგიონის კეთილდღეობის წინააღმდეგ.

4. თანამშრომლობა ბუნების დაცვასა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაში. კავკასიის ბიოსისტემა უნიკალურია. კავკასიაში წარმოდგენილია მსოფლიოს თითქმის ყველა გეოგრაფიული ზონის ნიშანი. განუმეორებელი მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვა უნდა გახდეს რეგიონის ქვეყნების ერთობლივი ზრუნვის საგანი. ეს კავკასიაში საერთაშორისო ტურიზმის და მაშასადამე, კაპიტალის მოზიდვის, სამუშაო ადგილების შექმნის შესანიშნავ პერსპექტივას სახავს. ასევე, მჭიდრო თანამშრომლობაა აუცილებელი შავი და კასპიის ზღვების ეკოლოგიის საკითხებში. ამავე დროს, კავკასია არის დამანგრეველი მიწისძვრების, ზვავების, მეწყერების ზონა. ვინ, თუ არა უახლოესმა მეზობლებმა უნდა გაუწოდონ ერთმანეთს ხელი ასეთი უბედურების ჟამს.

5. ეთნიკური და კონფესიური შემწყნარებლობა, ექსტრემისტული ნაციონალიზმის და ქსენოფობიის ერთობლივი დაგმობა. ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით კავკასია მსოფლიოს ყველაზე მრავალფეროვანი რეგიონია, იგი მსოფლიო მასშტაბის ნაკრძალია. ეს მას სილამაზეს მატებს, მაგრამ ზოგჯერ კონფლიქტების მიზეზიც ხდება. საბედნიეროდ, აქ არსებობს ტოლერანტობის ძლიერი ტრადიცია, რომელიც უნდა დავუპირისპიროთ სიძულვილის შესაძლო რეციდივებს.

6. კავკასიისთვის საერთაშორისო პროექტების, უცხოური ინვესტიციების ყოველმხრივი მხარდაჭერა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აქ უკვე იყო საუბარი ერთ ისეთ ინიციატივაზე, კერძოდ, კავკასიის სამეწარმეო ამერიკულ ფონდზე.

ყველა აქ ჩამოთვლილი პრინციპი უნივერსალურია. მხოლოდ მათი ამგვარი დაჯგუფება და პრიორიტეტების განსაზღვრაა დამახასიათებელი ჩვენი რეგიონისთვის. ამ საკითხებზე არაერთგზის მისაუბრია რეგიონის სახელმწიფოთა ლიდერებთან. ყველანი იზიარებენ ამ პრინციპებს. მიმაჩნია რომ მათ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს პაქტი „მშვიდობიანი კავკასია". ეს იქნება არა ვინმეს წინააღმდეგ მიმართული ორგანიზაცია, არამედ კავკასიის სახელმწიფოთა ვალდებულება ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღონ ნებისმიერი სახის დაპირისპირებას რეგიონში და აქციონ ის მშვიდობისა და კეთილდღეობის კერად. უახლოეს დღეებში დაგეგმილია ჩემი შეხვედრები ჰეიდარ ალიევთან, ლევონ ტერ-პეტროსიანთან, იგეგმება ვიზიტი მოსკოვში, შეხვედრა პრეზიდენტ ელცინთან, მიღწეულია შეთანხმება ანკარაში ვიზიტის თაობაზე, სადაც შედგება დიალოგი პრეზიდენტ დემირელთან, ამ დღეებში აქ ჩამოვა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ველაიათი, სისტემატური კონსულტაციები მიმდინარეობს დასავლეთის სახელმწიფოებთან, რომელთა ინტერესი კავკასიისადმი მკვეთრად გაიზარდა, კავკასიით დაინტერესებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მრავალი ქვეყანა, აქტიურად ვითარდება ჩვენი ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებსა და ხალხებთან. ასეთ მრავალმხრივ დიალოგში ვაპირებთ ჩვენ „მშვიდობიანი კავკასიის" იდეის განვითარებას, გამდიდრებას და დახვეწას.

სწორი არ იქნებოდა, რომ ჩემს გამოსვლაში არ შევხებოდი საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებს. უკანასკნელ ხანს ერთგვარი გააქტიურება შეიმჩნევა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ეს იყო ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტი. საფუძველი ქართველთა და ოსთა დაპირისპირებისა არ არსებობს. საქართველოში იმხანად გამეფებული განუკითხაობის გამო ბევრი ჩვენი ოსური ეროვნების თანამოქალაქე იძულებული გახდა მიეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ჩვენ მივესალმებოდით მათ მშობლიურ კერებთან დაბრუნებას და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხელი შევუწყოთ ამ პროცესს რეგიონიდან ცნობილი მიზეზების გამო, აყრილი ქართული მოსახლეობის დაბრუნებასთან ერთად.

აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიასა და მოლაპარაკებების მსვლელობაზე საუბარი ამ აუდიტორიაში უხერხულადაც კი მეჩვენება. მით უმეტეს, რომ ბევრი თქვენგანი უშუალოდ მონაწილეობს მოწესრიგების პროცესში მისი დაწყების პირველი დღიდან. ჩვენ თავიდანვე გვიკიჟინებდნენ, რომ პროცესის ინტერნაციონალიზაცია კარგს არაფერს მოგვიტანდა, პირიქით, საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანდა ჩვენს მოწინააღმდეგეს და ლამის საერთაშორისო სამართალსუბიექტად აქცევდა მას. მაგრამ, მოდით ვნახოთ, რა მოხდა სინამდვილეში. კონფლიქტთან დაკავშირებით, გაეროს პირველი, 1993 წლის ივნისის და ბოლო, 1996 წლის იანვრის რეზოლუციების ტექსტების უბრალო შედარებაც კი ნათელჰყოფს, თუ როგორ იცვლებოდა მსოფლიო თანამეგობრობის მიდგომა საღი აზრის და სამართლიანობის სასარგებლოდ. თავიდან, მიუხედავად აგრესიული სეპარატიზმის სრულიად აშკარა დანაშაულებებისა, საქართველოს სახელმწიფო და მეამბოხე სეპარატისტები თანაბრად მოიხსენიებოდნენ, როგორც კონფლიქტში მონაწილე მხარეები და გაეროს მოწოდებები ერთნაირად გვეხებოდა ჩვენც — საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთ და ომის, მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდის სულისჩამდგმელთაც — საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოს ერთიანობის იარაღის ძალით დაშლის მოსურნეთ, დიახ, ასეთი მიდგომა მიუღებელი იყო. მაშინ, გაერო არ აღმოჩნდა მზად სათანადო რეაგირება მოეხდინა ახალი თაობის აგრესიებზე. დღეს სულ სხვა სურათია: ერთი მხრივ, ეს არის დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის და ადამიანის უფლებათა დაცვის გზაზე დამდგარი საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი — სახელმწიფო თავისი კონსტიტუციით, ლეგიტიმური პრეზიდენტითა და პარლამენტით. მას უპირისპირდება ეთნიკური წმენდისა და ეთნიკური მკვლელობების ჩამდენი დანაშაულებრივი რეჟიმი, რომელიც ჯიუტად განაგრძობს „ომში გამარჯვებულის" როლის თამაშს და არა და არ სურს, მიიღოს ქცევის ის ნორმები, რომლებისკენაც მას მთელი მსოფლიო მოუწოდებს. ჩვენ არ გვსურს მოწესრიგების კონფრონტაციული გზა. ჩვენ წავედით კომპრომისზე, როცა დავთანხმდით არაპოლიტიკური, წმინდა ჰუმანიტარული საკითხი — ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა უპირობო დაბრუნება განგვეხილა წმინდა პოლიტიკური საკითხის — აფხაზეთის სტატუსის პარალელურად. ჩვენ წავედით კომპრომისზე, როცა დავთანხმდით მხოლოდ პოლიტიკური საკითხების განხილვაზე. აღარ შევუდგები ახლად თუ ადრე მიღებული რეზოლუციების, განცხადებებისა და შეთანხმებების ანალიზს. ვიტყვი, მხოლოდ, რომ სულ ახლახანს ჩვენ კიდევ ერთხელ დაწვრილებით გავაცანით გაეროს გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს, ევროკავშირს, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას ის წინადადებები, რომლებსაც აფხაზთა მხარეს ვთავაზობთ და რომლებიც გულისხმობენ აფხაზეთისთვის, როგორც ფედერაციის სუბიექტისთვის მსოფლიოში არსებული ყველაზე მაღალი სტანდარტებით გათვალისწინებულ უფლებებს. მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო: ჩვენ გავიარეთ გზის ჩვენი ნაწილი და ამაზე უფრო შორს წასვლა იქნებოდა სეპარატისტებისთვის იარაღით და გარეშე ძალის დახმარებით მიღწეულის დაკანონება. გარდა იმისა, რომ ჩვენ ამას არასდროს დავთანხმდებით, ღირს ამ აუდიტორიაში იმაზე საუბარი, თუ რას მოუტანდა ამგვარი პრეცედენტი დღევანდელ მსოფლიოს? სწორედ ამან განაპირობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მოსკოვის ამასწინანდელი უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება აფხაზური სეპარატიზმის პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური იზოლაციის შესახებ.

ეს გადაწყვეტილება უპრეცედენტოა თანამეგობრობის ისტორიაში, ისევე, როგორც უპრეცედენტოა სეპარატისტთა გამოწვევა თანამეგობრობისადმი. არაერთხელ აღმინიშნავს და კვლავ ვიმეორებ, რათა არავითარი საფუძველი არ დავუტოვო სპეკულაციებს ამ თემაზე: კონფლიქტის ზონაში დარჩენილი ჩვენი თანამოქალაქეების ბედი, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ჩვენ ისევე გვაწუხებს, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისა. ჩვენ ვიცით, თუ როგორ უჭირს იქ დარჩენილ მოსახლეობას. ამიტომაც, ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით მათ ყოველგვარი სახის დახმარება უნდა მიეწოდებოდეს, მაგრამ მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით. აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და ამ საკითხის ნებისმიერი სხვა ფორმით დაყენება ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ამგვარი დახმარება ემსახურება გაჭირვებაში ჩავარდნილ მოსახლეობას, და არა რეჟიმის არსებობის გახანგრძლივებას. სხვათა შორის, მსგავსი განცხადება გააკეთა ამას წინათ, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ბ-მა გრაჩოვმა, როცა აღნიშნა, რომ მშვიდობის დამცველი ძალების ხიშტები, ფაქტობრივად, სეპარატისტთა მთავრობის არსებობას ახანგრძლივებს. მსოფლიო თანამეგობრობა მიეხალმა ჩვენი მოთხოვნით მიღებულ გადაწყვეტილებას და ამით კიდევ ერთხელ, შესაძლოა, უკანასკნელად, გააფრთხილა სეპარატისტული რეჟიმი — გონს მოეგოს და დათანხმდეს კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიან გზას.

დღეს რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში პოლიტიკური, ზნეობრივი, თუნდაც, დიპლომატიური სასწორი ჩვენს მხარეს გადმოიხარა, უდავო ფაქტია. ეს ბევრი თქვენთაგანის დამსახურებაც არის და ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოვყოფდი ბ-ნ ვაჟა ლორთქიფანიძის როლს. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პირველ ეტაპზე, გამოუცდელობისა და რთული სამუშაო პირობების მიუხედავად, ჩვენმა დიპლომატიურმა სამსახურებმა მთლიანობაში მეტნაკლებად შეძლეს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. მაგრამ საჭიროა მეტი თავდადება და მუდმივი წინსვლა.

ძალზე მოკლედ შევჩერდები ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხზე. დღეს უკვე ისახება ახალი საელჩოების გახსნის აუცილებლობა. ახლახან გავხსენით საელჩო საბერძნეთში, წლის ბოლომდე გავხსნით ისრაელში. ძალზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, ამ თვალსაზრისით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე— ჩეხეთზე, სლოვაკეთზე, უნგრეთზე, პოლონეთზე, ბალკანეთის ქვეყნებზე, თანამეგობრობის სახელმწიფოებზე — უზბეკეთზე, ბელორუსიაზე, ზოგიერთ სხვა ქვეყანაზე. აუცილებელია, საქართველოს ჰქონდეს თუნდაც მცირერიცხოვანი წარმომადგენლობა გაეროს ევროპის განყოფილებაში, ჟენევაში, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს ამ ყველაზე დიდი საერთაშორისო ორგანიზაციის ათეულობით სპეციალიზებული ორგანო, კომიტეტი, კომისია თუ სამსახური, სერიოზულად არის მოსაწესრიგებელი საელჩოებსა და სამინისტროს შორის ინფორმაციის გაცვლის საკითხი. იმას, რასაც საელჩოები აწვდიან ცენტრს, მეტი სისტემატიზება სჭირდება. საელჩოებში უნდა მუშაობდეს ხალხი, რომელსაც გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი, რომელსაც ძალუძს ანალიზი გაუკეთოს იმას, რაც ხდება შესაბამის ქვეყანაში და მოგვაწოდოს ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საქართველოსთვის. საერთოდ, საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, მათ შორის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი კოორდინატორი, რა თქმა უნდა, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროსთან ერთად. ეს ორი სამინისტრო უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთიანი ორგანიზმი, დროა დამყარდეს მჭიდრო თანამშრომლობა მათ შორის, დაუშვებელია, დღევანდელი პრაქტიკა, როცა რომელიმე მინისტრი, ან თუნდაც ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი თუ დელეგაცია, მიემგზავრება უცხო ქვეყანაში და ამ ქვეყანაში ჩვენი ელჩი მხოლოდ მათი ჩასვლის შემდეგ იგებს ვიზიტის შესახებ. ჩვენ უკვე სახელმწიფო ვართ და ჩვენი ქცევაც საერთაშორისო არენაზე უნდა ადასტურებდეს ამას. ამავე დროს, მე ვთხოვე ბ-ნ ზალდასტანიშვილს, რომელმაც ცუდად არ დაიწყო თავის მოღვაწეობა ახალ თანამდებობაზე, სხვათა შორის, ისევე, როგორც ბ-მა მენაღარიშვილმა, შექმნას იმ ხელშეკრულებების ბანკი, რომლებიც იდება, თუნდაც, ცალკეულ ბიზნესმენებს შორის.

თუმცა, ამის პოტენციალი გაგვაჩნია. მაგრამ უახლოეს მომავალში სახელმწიფო ვერ შექმნის საგარეო ურთიერთობების საკითხებში სპეციალურ კვლევით ცენტრებს. სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა იქცეს ამ მიმართულებით სტრატეგიულ და სხვა სახის კვლევათა მთავარ ცენტრად. ამ მიზნით, სამინისტრომ თავი უნდა მოაბას აღმოსავლეთ-დასავლეთის ცენტრის საქმიანობას, გამოიყენოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალი. აუცილებელია ამ საქმიანობაში რეგიონული ორგანიზაციების ჩართვა. სამინისტრომ უნდა ითანამშრომლოს აჭარის, აფხაზეთის, ანუ მომავალი ფედერაციის სუბიექტების შესაბამის სამსახურებთან.

მე მივესალმები იმას, რომ ჩვენს დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობენ ჩვენი მეცნიერები, სხვადასხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, ჩვენი გუბერნატორები, მივესალმები იმას, რომ აქ გვესწრება აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ალექსანდრე გობრონიძე. ჩვენ ისინი შემთხვევით არ მოვიწვიეთ. ამით ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური კურსი იქმნება ყველას, მათ შორის, რა თქმა უნდა, ავტონომიური ფორმირებების, მომავალში ფედერაციის სუბიექტების მონაწილეობით. ჩვენი ხელოვნება ის უნდა იყოს, რომ მთელი ქვეყანა ჩავრთოთ ამ უზარმაზარ შემოქმედებით პროცესში. სხვაგვარად დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა ძნელი და შეუძლებელიც კი იქნება.

და ბოლოს, შეგახსენებთ, თუ რა არის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სამი ყველაზე მთავარი საზრუნავი — სამშობლოს უშიშროება, სამშობლოს კეთილდღეობა და სამშობლოს სახელი. გამოვთქვამ იმედს, ჩვენი შემდეგი შეხვედრისთვის თქვენი მეცადინეობით ამ სამი მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება.

რუსეთის პრესის სარკეში

■ სათათბირო საარჩევნო საგიტაციო პუნქტად გადაიქცევა

■ აქედან დაიწყო 1917 წელი XXI საუკუნის

■ საბრძოლო თვითმფრინავი

„პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის პიკი მაისში იქნება" — თვლის **„ნეზავისიმაია გაზეტა"**, თვით ბორის ელცინი კი დარწმუნებულია, **„რომ მისი გამარჯვება შესაძლებელია უკვე პირველ ტურში"**, ამასთან, მან ჰკითხა ჟურნალისტებს, — ღირს კი საპრეზიდენტო კამპანიაში მეუღლის ჩართვაო, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. სახელდობრ, როგორ ჩაერთვება ნაინა ელცინა მეუღლის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ეს არ დაუზუსტებიათ.

„50-50-ზე" — ასე შეაფასეს წამყვანმა პოლიტიკურმა მიმომხილველებმა ყოველკვირეულ **„კომერსანტის"** ფურცლებზე ელცინის წინასაარჩევნო შანსები. ბევრი თვლის, რომ მას შეუძლია თავისი რეიტინგის აწევა თუ „გაყინავს სიტუაციას ჩეჩნეთში და თავს აარიდებს საშიშ პოპულიზმს ეკონომიკაში". ამასთან, ამ „თუ"-ს სიმრავლე **ცვალებადი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე არ იძლევა შესაძლებლობას ალბათობის საკმარისი დონით გაკეთდეს პროგნოზები.**

„იზვესტია" წერს, რომ **„სათათბირო შეიძლება გადაიქცეს საპრეზიდენტო არჩევნების საგიტაციო პუნქტად"**. აქ ჩამოყალიბდა ზოგიერთი კანდიდატის „იატაკქვეშა" შტაბები. ფრაქციები თავიანთი კანდიდატებისთვის ბრძოლას შეუდგნენ კადრების განლაგებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობით. იდეურ თანაშემწეებს გადაუხდიან სახელმწიფო ხაზინის მიერ წინასაარჩევნო კამპანიისათვის გამოყოფილი ფულიდან. გარდა ამისა, ყოველთვიურად თითოეულ დეპუტატს გამოუყოფენ ხუთ მილიონ რუბლზე მეტს, ხუთი თანაშემწის ხელფასისათვის, აქედან, ოთხი არჩევნებისათვის იღვაწებს. გაქირავდება, აგრეთვე, თავისუფალი ოთახები თვეში 10 ათას დოლარად.

ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ციპკომ **„ნეზავისიმაია გაზეტას"** ფურცლებზე გამოთქვა „ალტერნატიული" შეხედულება საპრეზიდენტო არჩევნების თაობაზე. ჯერ ერთი, არჩევნები უნდა გაუქმდეს. ის, რომ **ახალ პრეზიდენტთან ერთად „მოვა მშვიდობა და ჩვენ კანონიერებისა და სოციალური ზავის გზას დავადგებით — თავის მოტყუებაა"**, — მიაჩნია ა. ციპკოს. შემდეგ ის ამტკიცებს, რომ „არც ერთი იმ პოლიტიკოსთაგან, რომლებსაც დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში ძალუძთ რეალურად გახდნენ საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტი, **არ წარმოადგენს ეროვნული შერიგების განმსახიერებელ ფიგურას"**.

„მოსკოვსკიე ნოვოსტიმ" პრეზიდენტობის კანდიდატ ზიუგანოვის პოზიციის თავისეულ ანალიზში აღნიშნა ერთი არსებითი დეტალი: „მან შეწყვიტა იმის საჯაროდ მტკიცება, რომ რუსეთისათვის მიუღებელია პრეზიდენტობის ინსტიტუტი". თვით მგზნებარე რევოლუციონერი ანპილოვიც კი ადრინდებულად აღარ მოითხოვს პრეზიდენტის პოსტის სასწრაფოდ გაუქმებას, ჩანს აშკარად იმედი აქვს, რომ მიიღებს ადგილს ზიუგანოვის გუნდში, თუ ის სახელმწიფოს მეთაური გახდება. მოკლედ, რეფორმატორები და რესტავრატორები, რაც უფრო უახლოვდებიან სანუკვარ ღვეზელს, სულ უფრო წინასწარ ტკბებიან მისი გემოთი და უარს ამბობენ თავიანთ რადიკალურ პოსტულატებზე.

საერთოდ კი, მიმომხილველები ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ რუსეთში არ არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეიძლება უდიდესი უმრავლესობის პოზიციიდან თავისი ნება უკარნახოს საზოგადოებას და, მაშასადამე, არ არის ლიდერი, რომლის ზურგს უკან იდგებოდა ასეთი ძალა.

წინასაარჩევნო პოზიციების კალეიდოსკოპში ყველაფერს გადაწყვეტს პასუხი კითხვაზე: როგორ და რისთვის შეკავშირდებიან ცალკეული ბლოკები და ფრაქციები, ჯერჯერობით სწორედ ეს მთავარი მომენტია განუჭვრეტელი.

ფიქრები დსთ-ს მომავალზე არა ნაკლებ აქტუალურია, ვიდრე რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები. **„ნეზავისიმაია გაზეტა"** მოგვითხრობს, თუ რა რეაქცია გამოიწვია დსთ-ს სივრცეზე ზიუგანოვის განცხადებამ 1991 წლის ბელოვეჟის შეთანხმების გაუქმების აუცილებლობის შესახებ. კერძოდ, უკრაინაში მიაჩნიათ, რომ ეს არის **პირველი ნაბიჯი სსრ კავშირის აღდგენის გზაზე.** მიმომხილველის აზრით, იგი ასახავს **„რუსეთის იმპერიული ძალების მისწრაფებებს"** და **„სკკპ საგარეო პოლიტიკის ექსპანსიონისტურ პრინციპებს"**. **„რუსეთის ნაციონალ-პატრიოტული ძალები დაადგნენ უკიდურესი რადიკალიზმის, შოვინიზმის და ხალხებისა და მეზობელი ქვეყნების ინტერესთა უგულებელყოფის გზას"**, — ასკვნის უკრაინის რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ბოგდან იაროშინსკი.

„არგუმენტი ი ფაკტის" პოლიტიკური მიმომხილველი იქითკენ იხრება, რომ დსთ-ს ქვეყნები **„ადრე თუ გვიან, შევლენ უახლოესი მეზობლების ინტერესთა სფეროში და მათ მოუწევთ იქ უფრო სასარგებლო პარტნიორის შერჩევა"**.

ყოველკვირეული **„ინტერფაქს-აიფ"-ს** მოჰყავს თავისი მკითხველების აზრი. მათი უმრავლესობა თვლის, რომ **„რუსეთს ესაჭიროება ძლიერი პიროვნება, რომელიც შეძლებს წესრიგის დამყარებას ქვეყანაში"**. სწორედ ეს „მეოცნებენი" მოითხოვენ, რომ „ახალ რუსებს" ჩამოერთვას უპატიოსნოდ შეძენილი ქონება. გავიხსენოთ — სწორედ აქედან დაიწყო 1917 წელი.

რუსეთის ფინანსურ ექსპერტთა განზოგადებული შეხედულების თანახმად, რომელიც მოჰყავს **„ფინანსოვიე იზვესტიას"**, 1996 წელს გამკაცრდება სახელმწიფო კონტროლი მთლიანად ფინანსური ბაზრისა და ეკონომიკის მთავარ სექტორებზე. შემოთავაზებული ღონისძიებები: აგებულ იქნეს ბიუჯეტი, პირველ ყოვლისა; ენერგიაშემცველების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებზე, დროებით ღონისძიებად განხილულია „რენაციონალიზაცია", როგორც რუსეთის ინდუსტრიის, აგრეთვე სოციალური სფეროს ხელშემწყობი ხერხი. ესე იგი, სახელმწიფომ უნდა დაიბრუნოს უდიდესი ენერგეტიკული კომპლექსები. მთავრობა უკვე მზად არის აღიაროს, რომ საინვესტიციო კონკურსებისა და საგირავნო აუქციონების პროცედურა სცოდავდა დიდი შეცდომებით. ხელისუფლება აგრეთვე, აპირებს დაიწყოს ბანკების ნაციონალიზაცია, რომელსაც, ამასთან, სპეციალისტთა აზრით, არ უნდა ჰქონდეს ექსპროპრიაციის ხასიათი.

„იზვესტიას" აწუხებს ის გარემოება, რომ **„რუსეთი ლიდერი ხდება დოლარის იმპორტის დარგში"**. ამას უკავშირებენ კუპიურების შეცვლის გამო გამოწვეულ აჟიოტაჟს, რომელიც ბევრს, გადაცვლის დროს პროცენტის დაწესებით, ბარაქიანი მოგების იმედს უსახავს. ცენტრალური ბანკი ამშვიდებს მოქალაქეებს, რომ მათი დანაზოგი არ იზარალებს ვინაიდან, მიღებული იქნება სათანადო ზომები.

მიუხედავად ამისა, სააგენტო **„პოსტფაქტუმის"** მიერ გავრცელებულ ცნობაში მოყვანილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის მიშელ კამდესიუს აზრი, რომ **„რუსეთის ახლანდელ ეკონომიკურ პოლიტიკას საერთაშორისო თანამეგობრობის შესაბამისი მხარდაჭერის პირობებში შეუძლია ჭეშმარიტად ფანტასტიკური შედეგი მოგვცეს"**. სახელდობრ, — სამი წლის შემდეგ რუსეთს შეუძლია ეკონომიკის ისეთ მდგომარეობამდე მივიდეს, როცა ეროვნული შემოსავლის ყოველწლიური მატება 6 პროცენტი იქნება. მ. კამდესიუ აგრეთვე, თვლის, რომ **„რუსეთს აქვს ყველა წინაპირობა, რათა XXI საუკუნეში პლანეტის წამყვანი სახელმწიფო გახდეს"**.

თუმცა, რუსეთი „დერჟავულობისაკენ" არა მარტო ეკონომიკის გაჯანსაღებით მიისწრაფვის. როგორც **„იტარ-ტასი"** გადმოგვცემს, რუსეთის ავიატორებმა შექმნეს XXI საუკუნის საბრძოლო თვითმფრინავი, რომლის შესაძლებლობებს ვერავინ გადააჭარბებს, უახლოესი 15 წლის განმავლობაში. კომენტარი ზედმეტია.

იური მოსეშვილი.

ავტობუსით აფხაზეთიდან სოჭში

ბოლო დროს, აფხაზეთის რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლებმა და ორგანიზაციებმა რამდენჯერმე თხოვეს ქალაქ სოჭის ადმინისტრაციას, გამოეცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთიდან სოჭის რეგიონში, კერძოდ, ადლერში, ავტობუსებით გაატარებენ ქალებსა და პენსიონერებს. ისინი ადლერში შეისყიდიან კვების პროდუქტებს და აიღებენ პენსიებს.

აფხაზური რადიოს ცნობით, ქალაქ სოჭის ადმინისტრაციის მეთაურმა ნიკოლოზ კარპოვმა გაითვალისწინა აფხაზეთში მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობა და გამოსცა რიგი განკარგულებები, რომელთა თანახმად, ნებადართულია აფხაზეთიდან ფსოუს სასაზღვრო პუნქტის გავლით დიდი სოჭის ზონაში შეუშვან სამგზავრო ავტობუსებით აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლები — ქალები და პენსიონერები.

როგორც ვხედავთ, სოჭის ადმინისტრაცია, რომელიც ადრეც გამოირჩეოდა გარკვეული სიმპათიებით აფხაზური მთავრობისადმი, ახლაც ხელიდან არ უშვებს მომენტს, რათა დააკმაყოფილოს იმათი მოთხოვნა, ვინც მხარს უჭერს არძინბას ადმინისტრაციას.

თ. ჯაჭვორია,
საქინფორმის კორ.

სათქმელი უნდა ითქვას

დიდი წვრილმანი

პარლამენტი თეატრი არ არის, იაფფასიანი ბილეთის პატრონებივით „ქანდარიდან" ვუმზიროთ

ამ ბოლო დროს, შინ თუ გარეთ, ისინი, ვინც იციან, რომ პარლამენტში აკრედიტებული ჟურნალისტი ვარ და სხდომების გაშუქება მევალება, შემნიშნავენ, ხშირად აღარ წერო. მსაყვედურობენ რედაქციაშიც.

შეპასუხებას ჩვეული არა ვარ, მით უფრო, როცა მართალს მსაყვედურობენ, მაგრამ, რადგან დღემდე არავის უკითხავს რატომო, იძულებული ვარ მიზეზი გავამჟღავნო. რასაც ახლა ვიტყვი, შეიძლება ვინმემ პატივმოყვარეობად ჩამითვალოს; თუნდაც ასე იყოს, რითია ცუდი ჩემს პიროვნულ და ადამიანურ ღირსებებს რომ პატივი ვცე? მთავარია, ეს პატივმოყვარეობა გადაჭარბებული არ იყოს...

ერთი სიტყვით, თავს იმით ვინუგეშებ, რომ ის, რისი თქმაც მსურს, მხოლოდ მე არ მაწუხებს— პარლამენტში აკრედიტებული თითქმის ყველა ჟურნალისტის საწუხარია.

ვინ როგორ ახერხებს სხდომების ვრცლად და ანალიტიკურად გაშუქებას, ამაზე ვერაფერს ვიტყვი (ყველას თავისი ხერხი აქვს), მაგრამ მიმაჩნია: ჟურნალისტმა რომ ისე წეროს, როგორც პრესის კანონითა და ჟურნალისტური ეთიკით ევალება, პარლამენტში ამის პირობები ნაკლებად არის...

შეიძლება ისეთ პასუხსაგებ თემაზე, როგორიც საკანონმდებლო მუშაობა ან პარლამენტართა პოლემიკაა, ყურმოკრული ფრაზებითა და ვარაუდებით წერა? იქნებ, ვინმესთვის დასაშვებია, მაგრამ ჩემთვის — არა...

რა ყურმოკრულსა და ვარაუდებზეა ლაპარაკიო, იქნებ იკითხოს ვინმემ, პარლამენტში თუ სხედხართ, მოისმინეთ კიდეცო. ვსხედვართ, მაგრამ მოსმენისა რა მოგახსენოთ: დარბაზის გადმომყურე აივანზე დახშულად თუ აღწევს ორატორთა ხმა, მით უფრო — რიგებში დაყენებული მიკროფონებიდან... თუმცა არის გამოსავალი: სმენად იქცე, ნაწილს შენ გაიგებ, ნაწილს შენი მეზობელი, დანარჩენს კიდევ იქით მჯდომი.. და არის ერთი გადაჩურჩულებ-გადმოჩურჩულება, გადაძახ-გადმოძახება. ამ ჯახირში კი გრჩება მომდევნო აზრი, მორიგი ფრაზა.. ვცადე ერთხელ ასე დაწერა: რაც გავიგე, ისა ვთქვი, რამაც დამაეჭვა, გამოვტოვე. მომივარდა პარლამენტარი მეორე დღეს რედაქციაში, ჩემი ნათქვამი რატომ ზუსტად არ დაწერეო.

არის სხვა გამოსავალიც: ათწუთიანი შესვენება, ამ დროს შეგიძლია პირისპირ ჰკითხო მოსაზრება დეპუტატს, დააზუსტო მისი ნათქვამი, უფრო ვრცლად ათქმევინო სათქმელი, დიქტოფონიც მოიშველიო, მაგრამ.. ეს შენთვის საინტერესო დეპუტატი ან კომიტეტის თავმჯდომარე შეიძლება სულაც არ გამოვიდეს ფოიეში: ან ფრაქციის სხდომა აქვს, ან კომიტეტის წევრებთან შეხვედრა, ან რაღაცას ჩაკირკიტებს, ან დეპუტატის ოთახიდან სადღაც რეკავს, ანდა სულაც დარბაზში სურს ყოფნა. უნდა აიტუზო დარბაზის კართან დიქტოფონით ხელგაწვდილი: — გაიღე მოწყალება, ბატონო დეპუტატო, გამოდი გარეთ!

არის რაღაც შეურაცხმყოფელი ამგვარ ატუზვაში. ახლაც მწარედ მახსენდება: დარბაზში შეპარული, როგორი დაცაცხანებით გამომისტუმრა კარისკაცმა. არადა, ერთი დეპუტატი აუცილებლად უნდა მენახა (ნომერში ინფორმაცია უნდა წასულიყო). ხომ შეიძლება ვინმეს სთხოვო, რომ დეპუტატს დაუძახონ? თუ ბიჭი ხარ შებედე შუბლშეჭმუხნულ, დარბაზიდან მძიმე ნაბიჯებით გამოსულ რომელიმე დეპუტატს, ჩემი გულისთვის უკან შებრუნდი და მავან დეპუტატს წუთით სთხოვეო. ის კი არა, ერთი დეპუტატი, ადრე რომ ჩემი მეგობარი იყო, მოირგო თუ არა პარლამენტარის ჩოხა, სალამს იმადლება.

პარლამენტარობა ზოგიერთს რატომღაც ამბიციით აავსებს.

ამას წინათ რედაქციაში ერთმა დეპუტატმა დარეკა აგრარული კომიტეტის ქვეკომიტეტიდან (როგორც მომესმა, სულაც ქვეკომიტეტის თავმჯდომარე იყო). ერთი ამბავი დამაწია, როგორ თუ ამა და ამ წერილის სათაური მსხვილი შრიფტით დაგიბეჭდავთო. როცა ვუთხარი, გაზეთისთვის კარნახის უფლება, თანაც ასეთი ტონით, არა გაქვთ-მეთქი, გაცხარდა. რედაქტორს და პასუხისმგებელ მდივანს დაურეკეთ-მეთქი, ვურჩიე. დიდგულად და დაცინვით მომახალა, როგორ, ავდგე ახლა მე და ერთს, მეორეს და მესამეს ჩამოვურეკოო? ყურმილი დამიგდო.

მგონი, თემას გადავუხვიე, იმას ვამბობდი: **ჟურნალისტებს სხდომათა დარბაზში არც ერთ შესვენებაზე, არც სხდომის დაწყების წინ და არც დამთავრების შემდეგ არ გვიშვებენ.**

თუ ბედმა გაგიღიმა და სასურველი დეპუტატი ფოიეში მოიხელთე, ხომ კარგი, თუ არა და... არის კიდევ ერთი გამოსავალი — დიდი შესვენება, მაგრამ აქაც ძალიან ცოტაა შანსი. ვიდრე აივნიდან ქვემოთ ჩამოირბენ, ზოგი წასულია, ზოგსაც ძალიან ეჩქარება.. და, საერთოდ, ძალიან მოუცლელია ზოგიერთი ჩვენი ახლანდელი პარლამენტარი, ძნელად, რომ ჟურნალისტისთვის წუთები გაიმეტოს (გამონაკლისია ახლადარჩეული ძველ პარლამენტართა ნაწილი), ამას აშკარად გრძნობ და კვლავ შეურაცხყოფილი რჩები (ცოტა უკეთეს მდგომარეობაში არიან ტელეჟურნალისტები ჩანს, ეკრანი მაინც მომხიბლავია). მოდი და ნუ გაიხსენებ ძველ პარლამენტართა მრავალგზის ნათქვამს, მოგენატრებითო! ერთი სული ჰქონდათ შესვენებაზე ჟურნალისტებს გასაუბრებოდნენ, თვითონ გვეძებდნენ. რედაქციების ხშირი სტუმრებიც იყვნენ, თავიანთი მოსაზრებების მკითხველამდე ზუსტად მიტანას ითხოვდნენ... სპიკერატიც გვწყალობდა, ჟურნალისტებთან თანამშრომლობითა და პრესის პატივისცემით პირადად მე ნამდვილად მენატრება ძველი პარლამენტი.

მართალია, ისიც გვახსოვს, როგორ თავხედობდა ზოგიერთი ჩვენი კოლეგა წინა პარლამენტში, როცა დარბაზში თავისუფლად შესვლის უფლება გვქონდა. სხდომის მოსმენას არ აცლიდნენ დეპუტატებს. კამათშიც ერთვებოდნენ, ამ მხრივ, ალბათ, ჩვენზე ახიც არის ადგილი „ქანდარაზე", მაგრამ შესვენებაზე „თავისუფლების აღკვეთა" რა მიზეზითაა?

ისე, ერთი დადებითი მხარე ნამდვილად აქვს იმ „ქანდარას", პარლამენტში რომ მოგვაკუთვნეს. ზემოდან ვუყურებთ ყველაფერს, ხელისგულივით ჩანს: ვინ თვლემს, ვინ კროსვორდს ხსნის, ვინ ახალ გაზეთს ათვალიერებს, ვინ ჭორაობს და ვინ სმენად ქცეულა.

და, ბოლოს.

როგორ წარიმართა ამა თუ იმ კანონპროექტის ირგვლივ მსჯელობა, რა შეასწორეს და დაამატეს, ამას თავი დავანებოთ, კანონპროექტის დასახელება ხომ მაინც ზუსტად უნდა მივაწოდოთ მკითხველს? ამისთვის კი აუცილებელია ხელთ გქონდეს იგი. მაგრამ ვინ გაძლევს? ეხვეწე რამდენიც გინდა, შეუვალები არიან პარლამენტის აპარატის თანამშრომლები: დეპუტატების გარდა სხვებისთვის ერთი ფურცლის მიცემაც აკრძალული გვაქვსო — ამბობენ. თუ გამიმართლა და იმ თანამშრომელთაგან, რომელიმემ „ნაცნობობით" მომიხერხა და მომცა განსახილველი დოკუმენტი, ხომ კარგი, თუ არა და ვრჩები ყურმოკრულის იმედზე. ამ შემთხვევაში მოკლე ინფორმაციაა ზედგამოჭრილი და მეც ამ ხერხს ვირჩევ. საინტერესოა, მაინც რატომ არ შეიძლება პარლამენტში აკრედიტებულ ჟურნალისტსაც ჰქონდეს სამუშაოდ კანონპროექტი? ლამის დავუჩოქე იმ დღეს სამოქალაქო კოდექსის პროექტისათვის, წინასწარ რომ დაურიგდათ დეპუტატებს, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე...

საინტერესოა, რის მაქნისია ჟურნალისტის აკრედიტაცია, თუ დეპუტატს იოლად ვერ შეხვდები, კანონპროექტებში ვერ ჩაიხედავ, პარლამენტი თეატრი ხომ არ არის, იაფფასიანი ბილეთის პატრონივით „ქანდარიდან" უმზირო?

25 თებერვალს რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელთა თათბირზე საქართველოს პრეზიდენტმა თავის სიტყვაში, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონპროექტს რომ ეხებოდა, პრესაზე საუბრისას შენიშნა, რომ გამოსაქვეყნებელი იყო და არ გამოქვეყნდა კანონპროექტის შესახებ პარლამენტის სახელზე გაგზავნილი მისი წერილი, რომელიც პრეზიდენტის პოზიციასა და პრეზიდენტის პოლიტიკის ზოგიერთ საკითხს განმარტავდა, ვერ გეტყვით ვინ იყო ამაზე პასუხისმგებელი, მაგრამ ჩემს საყვედურადაც მივიღე, რადგან იმდღევანდელ მნიშვნელოვან სხდომაზე (პირველი მოსმენით მიიღეს კანონპროექტი) მხოლოდ მოკლე ინფორმაცია მივაწოდე მკითხველს. პრეზიდენტის წერილი მხოლოდ ვახსენე, მთლიანად ვერ მოვიტანე უბრალო მიზეზის გამო: ხელთ არ მქონდა, არ მომცეს. დარბაზში წაკითხულიდან ყურმოკრულის დონეზე ჩაწერილის გამოქვეყნება კი ისეთ დოკუმენტს, როგორიც ქვეყნის პრეზიდენტის წერილია, ვერ ვაკადრე.

აი, ამის თქმა მსურდა. ბოლოს და ბოლოს სათქმელი ხომ უნდა ითქვას!

იქნებ, ვინმემ მითხრას, ძალიან ბევრს ითხოვთ ქართველი ჟურნალისტები, ამერიკაში თქვენს კოლეგებს პარლამენტთან ურთიერთობის ამის ნახევარი უფლება და შესაძლებლობაც არა აქვთ, რაც თქვენო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ იქ დემოკრატია და სახელმწიფოებრიობა კარგა ხანია აშენებულია. ჩვენ ახლა ვაშენებთ და, ვფიქრობთ, ჯერჯერობით ყველამ ერთად, ერთმანეთის გვერდში დგომით უნდა ვაშენოთ.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანს მიაჩნია,

რომ ირღვევა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილება აფხაზეთთან დაკავშირებით.

როგორც „ბს პრეს“-ის კორესპონდენტისთვის ინფორმირებული წყაროებიდან გახდა ცნობილი, ამ დღეებში საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად სტავროპოლიდან აფხაზეთში შეტანილია 120 ტონა ფქვილი, ამავე დროს, რეგიონის ბენზინგასამართ სადგურებში შეტანილია 100 ტონა საწვავი და მოსალოდნელია უახლოეს პერიოდში კიდევ 800 ტონის შეტანა. ცნობილი გახდა ისევე, რომ საქართველოს საბანკო სამსახურის სანქციის გარეშე სატრანსპორტო გემმა თურქეთიდან სოხუმში შეიტანა საკვები პროდუქტები.

ეს ფაქტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილების დარღვევა აფხაზეთთან დაკავშირებული ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების შესახებ, — განუცხადა „ბს პრეს“-ის კორესპონდენტს პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ.

ოფიციალურმა თბილისმა და საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ კონფლიქტის ზონაში დარჩენილი მოსახლეობის ბედი, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ისევე აღელვებს, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისა. საქართველოს ხელისუფლებამ იცის იმის შესახებაც, რომ აფხაზეთის სჭირდება სურსათით დახმარება და ხელს არ უშლის მის მიწოდებას. თუმცა, მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად, აფხაზეთს ნებისმიერი დახმარება უნდა გაეწიოს საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს დახმარება მიმართულია მოსახლეობის საჭიროებისთვის და არ ემსახურება სეპარატისტული რეჟიმის არსებობის გაგრძელებას.

შეხვედრა თანამებრძოლებთან

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე 1 მარტს ეწვია დასავლეთ საქართველოს, სადაც გამართა შეხვედრები და კონსულტაციები პარტიის მოღვაწეობის პროგრამით.

ზუგდიდში, ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების ვიდეოკლუბ „ცისარტყელაში“ გამართულ შეხვედრაში, მონაწილეობდა 500 კაცი — პარტიის სამეგრელოს და ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციების ლიდერები და რიგითი წევრები.

პანტელეიმონ გიორგაძემ დაწვრილებით მოუთხრო მათ მოსკოვში გამართული რუსეთის კომუნისტური პარტიის ყრილობის შესახებ და განაცხადა, რომ რუსეთის კომპარტიის ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი ზიუგანოვი გაერთიანებისაკენ მოუწოდებს რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიებს.

დაფუძნდება ლავრენტი ბერიას საზოგადოება

ამა წლის 28 მარტს დასავლეთ საქართველოში, ქალაქ ზუგდიდში დაფუძნდება ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — ლავრენტი ბერიას საზოგადოება, ამის შესახებ განაცხადა საქართველოს ერთიანი კომპარტიის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ლიდერმა რევაზ ბულიამ ერთიანი კომპარტიის ლიდერთან პანტელეიმონ გიორგაძესთან შეხვედრაზე ზუგდიდში, ამხანაგ ბულიას არ დაუზუსტებია ორგანიზაციის წინაშე მდგარი მომავალი მიზნები და ამოცანები.

ვახტანგ ესვანჯია — 65

კაცი, რომელიც სიკეთეს, სიმართლეს ემსახურება

წარმოიდგინე მკითხველო, რომ განიზრახე ჩრდილოეთის გზით იტალიაში გამგზავრება. შვეიცარიიდან საზღვრის გადაკვეთისთანავე შემოგეგება იტალიის ქალაქ ბელჯირატეს აღმნიშვნელი ფირნიში, რომელზეც, რა თქმა უნდა, იტალიურად აწერია „ბელჯირატე — სიღნაღთან დაძმობილებული ქალაქი“. გაგიკვირდებათ? გაგეხარდებათ? უეჭველად. იტყვით — საიდან სადაო... საიდან და იქიდან, რომ ამ ქალაქის მერმა ლუიჯი პრინიმ ქართველი ჟურნალისტის, საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ესვანჯიას წინადადებით გააკეთებინა ეს წარწერა და იგი დღესაც იქ დგას — ქალაქის შესასვლელში...

მანამდე კი იყო წლების განმავლობაში დეტექტივივით გულისყურიანი, გამოწვლილვითი მუშაობა არქივებში, იტალიელ თუ ქართველ პარტიზანებთან, ჩვენი სამამულო შვილის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის გმირის ფორე მოსულიშვილის მშობლიურ სიღნაღში ახლობლებთან, იტალიის წინააღმდეგობის თვალსაჩინო მებრძოლებთან — ფორეს თანამებრძოლებთან შეხვედრები, საუბრები, დოკუმენტების, მოწმეების ნაამბობთა შეჯერება; დიდი და სერიოზული მუშაობა, რათა ბელჯირატესთან ახლო, წარმტაცი ლაგო მაჯორეს ტბის გვერდით აეგოთ ფორე მოსულიშვილის მემორიალი, ათობით იტალიელი პარტიზანის კახეთში, სიღნაღში ჩამოსვლა, ფორეს ახლობლების იტალიაში მოგზაურობანი და ა. შ.

ამ დიდი დავიდარაბის წამომწყები და თავის დამდგმელი გახლდათ ვახტანგ ესვანჯია, რომელსაც იტალიაში, მის ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონებში ისევე კარგად იცნობენ, როგორც, ალბათ, თბილისში, ან, შეიძლება, თვით სენაკში, რომლის რაიკომის პირველ მდივნად ბატონი ვახტანგი ათ წელიწადს მუშაობდა და იქ სიკეთის, სიმართლის, კეთილდღეობის მეტი არაფერი დაუტოვებია...

თავიდან კი იყო 12-შვილიან ოჯახში წესიერი, ქართული, ტრადიციული აღზრდა, სკოლა და უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, პროფესორ-მასწავლებლები — დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი, პეტრე შარია, შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, რევაზ ნათაძე, სავლე წერეთელი...

მერე — გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ — ჟურნალისტური მოღვაწეობა, მას მოჰყვა პარტიული სკოლა მოსკოვში და პირველი სერიოზული სიყვარული — გაზეთი „სამშობლო“. სწორედ ამ გაზეთმა, რომლის დამაარსებელი და პირველი რედაქტორიც გახლდათ ბატონი ვახტანგი, მისცა ბიძგი მის ინტერესს ჩვენი სახელოვანი, სამშობლოდან გადახვეწილი თანამემამულეების ბედისადმი. სწორედ ვახტანგ ესვანჯიამ — ჭკვიანმა, დაკვირვებულმა და ჭეშმარიტმა პატრიოტმა კაცმა ახსნა ტაბუ ისეთი პიროვნებების სახელებს, როგორებიც გახლდნენ კალისტრატე სალია, დიმიტრი ამილახვარი, ფორე მოსულიშვილი... სწორედ ვახტანგ ესვანჯიას დაჟინებული და მიზანმიმართული მუშაობით, ბატონ ედუარდ შევარდნაძის — მაშინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დახმარებით იზეიმა სამართლიანობამ: მიხეილ გორბაჩოვმა 1990 წლის მაისში მოაწერა ხელი ბრძანებულებას ფორე მოსულიშვილისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ...

მე პირადად ბატონი ვახტანგ ესვანჯია, მისი შინაგანი, ფართო და უშურველი ბუნებით, ხასიათით, ორგანიზატორული ნიჭითა და კაცობით „მსხვილი პლანით“ წარმომიდგა იმ წლებში, როდესაც იგი მაშინდელი ცეკას გამომცემლობის დირექტორი გახლდათ, მე კი იქვე ვიყავი არჩეული პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ. დღეს შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ბატონი ვახტანგი მუდამ ხმალშემართული იყო სიკეთის, სამართლიანობის დაცვაში, ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვაში და კიდევ იმაში, რომ ხალხს ემუშავა ნორმალურ, ცივილიზებულ გარემოში, წარმოებას არ ჰქონდა ხინჯი და ხარვეზი...

მაგრამ ეს იდილია შეწყდა 1991 წლის ცხელ ზაფხულში — ბატონ ვახტანგს მაშინდელმა ხელისუფლებამ, ყოველგვარი მოტივისა და მიზეზის აუხსნელად, კარისკენ მიუთითა... მაგრამ, სამშობლოს მომავალზე და მის ადამიანებზე დაფიქრებული კაცი წარბშეუხრელად აგრძელებდა თავის ძირითად საქმეს — ზრუნავდა ქართველთა ბედზე, ახლა უკვე საკუთარ სამშობლოში გამოდევნილებზე, კონკრეტულად კი მათ შვილებზე, ვისაც აფხაზეთიდან ლტოლვილის მძიმე ჯვარი, სხვისი კერა და ნაწილადები ლუკმა ხვდა.

საქართველო-იტალიის საზოგადოების პრეზიდენტმა ვახტანგ ესვანჯიამ ჩვეული ენთუზიაზმით, პედანტობამდე აყვანილი სკურპულოზობით შეარჩია აფხაზეთიდან ლტოლვილთა შვილები — 6-7 წლის გოგო-ბიჭები და უკვე 1994 წელს 116-ბავშვიანი „გუნდით“ იტალიაში, კერძოდ სიცილიაში ჩავიდა. თავისი ძველი მეგობრების, თბილისთან დაძმობილებული ქალაქის პალერმოს თავკაცების, კერძოდ — მერის ლეოლუკა ორლანდოს დახმარებითა და მზრუნველობით ქართველი ნორჩები იტალიაში „შეიჭრნენ“ და 3 თვის განმავლობაში დაიპყრეს მასპინძელი ოჯახების წევრთა ფაქიზი და ცხელი გულები. მომდევნო წელს უკვე 7 თვე დაჰყო პალერმოში 52-მა ქართველმა ბავშვმა, რომელთა უმრავლესობა ხელმეორედ მიიწვიეს მათმა სიცილიელმა „მშობლებმა“.

სულ ახლახან კი პატარა ქალაქ მენფის კომუნისა და ასოციაცია „ლიბელულას“ მოწვევით სიცილიაში 3 თვით გაემგზავრა 152 ქართველი ბავშვი...

— სულაც არაფერი რომ არ გამეკეთებინა ჩემს ცხოვრებაში — მეუბნება ბატონი ვახტანგი, — მხოლოდ ეს დიდი საქმე, ჩვენი ლტოლვილი ბავშვების სიხარული და ბედნიერება, რაც მათ განიცადეს სიცილიის ცის ქვეშ, მეყოფა საგზლად...

— მაგრამ იმ დიდ და სახელოვან საქმეებს, წინ რომ ჩაათავე, რა ვუყოთ, ვახტანგ ბატონო, დავივიწყოთ?

იცინის მისთვის დამახასიათებელი ფრთხილი, მაგრამ გულღია და სანდომიანი სიცილით.

— ალბათ, ვერ დავივიწყებ, ამ 65 წელიწადში მართლაც ცოტა რამ არ გამიკეთებია...

მაშ, თქვენ განსაჯეთ მკითხველო, ცოტა შეძლო თუ ბევრი ვახტანგ ესვანჯიამ თავისი ცხოვრების იმ მონაკვეთში, დაბადებიდან 65-ე წლის აღმნიშვნელი ფირნიში რომ ხვდება, და თუ გსურთ რაიმე თქვათ ამის თაობაზე, შეგიძლიათ შეატყობინოთ მას იტალიაში:

Palermo
FAX 91/6474575
Per sing. Vachtang Esvangia
ან 91/302371

თქვენს კორესპონდენციას სიამოვნებით წაიკითხავენ როგორც ბატონი ვახტანგი, ასევე ის 152 ქართველი გოგო-ბიჭი, იტალიის მადლიანი მზის ქვეშ რომ ლაღობს დღეს

ანზორ ბასილაია.

სურათზე: ვახტანგ ესვანჯია, რომელიც დღესაც ხალისიან ადამიანად და „მონამლულ“ რეპორტიორად რჩება.

ავტორის ფოტო

გამარჯობა, გაზაფხულო!..

დადგა მარტი — გაზაფხულის პირველი თვე. ამ პერიოდში მზის სიმაღლის მატებასთან ერთად, დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროში მზის რადიაცია მატულობს, შესაბამისად სწრაფად იმატებს ჰაერის ტემპერატურაც. კლიმატური მონაცემებით, მარტი ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თებერვალთან შედარებით, საშუალოდ 2-5 გრადუსით თბილია. ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ბარში მერყეობს 4-დან 9 გრადუსამდე. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი აღწევს 24-33 გრადუს სითბოს, აბსოლუტური მინიმუმი დასავლეთ საქართველოს ბარში იკლებს 4-12 გრადუს ყინვამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 8-დან 21 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში მერყეობს 90-დან 150 მმ-დე (აჭარის სანაპირო რაიონებში 160-200 მმ-ის ფარგლებში), აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე კი 20-დან 70 მმ-დე.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე წლის მარტში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე ერთი გრადუსით მაღალი, რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში — მასთან ახლოს. შედარებით ცივი ამინდები მოსალოდნელია თვის პირველ ნახევარში. აღნიშნულ პერიოდში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება დასავლეთ საქართველოს ბარში 0-2 გრადუს ყინვამდე, მთიან რაიონებში 2-7, მაღალმთიან რაიონებში 11-16 გრადუს ყინვამდე; აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი 1-6 გრადუს ყინვამდე (შიდა ქართლში, შირაქსა და ელდარში 4-9 გრადუს ყინვამდე), მთიან რაიონებში 10-15, მაღალმთიან რაიონებში 15-20 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს, აღმოსავლეთ საქართველოში — მასზე მეტი.

მრავალწლიური მონაცემების მიხედვით, მარტის ბოლოს საქართველოს მდინარეებზე იწყება გაზაფხულის წყალდიდობა, ხოლო მარტში მდინარეთა წყლიანობა თებერვალთან შედარებით 40-60%-ით მეტია.

მიმდინარე წლის მარტში საქართველოს მდინარეთა წყლიანობა ნორმის ფარგლებშია ნავარაუდევი, გაზაფხულის წყალდიდობის დაწყება კი — მარტის მესამე დეკადაში, ხოლო წყალდიდობის დაწყებამდე ტემპერატურის ცვლილებების შესაბამისად, ადგილი ექნება წყლის დონეების რყევადობას.

თებერვალში თბილისში ჰაერის გაჭუჭყიანების დონე საშუალო მრავალწლიურის ფარგლებში იყო. მაღალი და ექსტრემალურად მაღალი გაჭუჭყიანება არ აღინიშნულა.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქმთავარჰიდრომეტის უფროსი.

კომპიუტერის ეკრანზეა დამრღვევი

თბილისის საგზაო პოლიციასთან შეიქმნა კომპიუტერული ცენტრი, რომელიც ბევრად გააადვილებს წესრიგის მუშაკთა მუშაობას. მონაცემების ბანკშია გაცემული მართვის უფლებები, საგზაო ავარიების რაოდენობა, დამრღვევების კარტოთეკა ფოტოსურათებითურთ. კომპიუტერში შეტანილია ქალაქის რუკა, რომელიც გააადვილებს თბილისის ფარგლებში გატაცებული მანქანების ძებნას, ხელს შეუწყობს მათ პელენგაციას, აღნუსხავს მძღოლების მიერ დაშვებული დარღვევის ყოველ შემთხვევას.

მომავალში საგზაო ინსპექტორების მანქანები, ისევე როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, უნდა აღიჭურვოს სპეციალური ტექნიკით, რომელიც რამდენიმე წამში დააკავშირებს მათ ცენტრთან, საიდანაც ისინი მიიღებენ ყველა მონაცემს დამრღვევის შესახებ. უკვე შექმნილია რამდენიმე პროგრამა და მიმდინარეობს მუშაობა მონაცემების ბანკებზე.

საქინფორმი.

როგორ ვუშველოთ ტყეს?

ეს პრობლემა საქართველოში დღეს ყველას აწუხებს, მით უფრო სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელებს. ამიტომაც გადაწყვიტეს მათ შეხვედროდნენ ხე-ტყის უმთავრეს რეალიზატორებს — გაერთიანება „საქტყეავეჯმრეწვის“ წარმომადგენლებს, რათა ერთად მოელაპარაკათ, როგორ იმუშაონ და იცხოვრონ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ისე, რომ სატყეო მეურნეობაც მოგებული დარჩეს და ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობაც.

ასეთი არაოფიციალური შეხვედრა-საუბარი ამ დღეებში მართლაც შედგა. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **გივი ჯაფარიძემ,** აგრეთვე „საქტყეავეჯმრეწვის“ ხელმძღვანელმა **შოთა ჯაოშვილმა,** სხვა გამომსვლელებმა გააანალიზეს დარგებში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა, ამ დარგების ურთიერთსასარგებლო და ურთიერთპარტნიორული თანამშრომლობის შესაძლო ვარიანტები და ფორმები.

გიორგი მათურელი.

ამინდი

5 მარტს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ნალექი, მთებში თოვლი, იქროლებს წამში 5-10 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით +1+6, დღისით +5+10, მთაში — ღამით —2+3, დღისით +1+6, მაღალ მთაში — ღამით +2+7, დღისით 0—5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა იქნება, ზოგან თოვლი, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით —3+2, დღისით +5+10, მთაში — ღამით —1—6, დღისით +2+7, მაღალმთაში — ღამით +4+9, დღისით 0—5 გრადუსი.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი, უნალექოდ, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით —1+1, დღისით +8+10 გრადუსი.

გამოსათხოვარი

ვალერიან ვადაჭკორია

საქართველოს საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საინჟინრო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვალერიან ივლიანეს ძე ვადაჭკორია.

დაიბადა 1919 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საავიაციო ქარხანაში ეუფლებოდა ოსტატის რთულ სპეციალობას. რომელ უბანზეც არ უნდა ყოფილიყო ბატონი ვალერიანი, ის თავდაუზოგავი, უანგარო შრომით იქცევდა ყურადღებას. მისი ინიციატივითა და თაოსნობით განხორციელდა მრავალი პროგრესული პროექტი, გეგმა, იდეა.

ნოვატორული ბუნებისა და ხასიათის ადამიანი, განსაკუთრებული ყურადღებით იხილავდა ყველა წინადადებას, რომელიც წარმოებით პროცესში პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვას ითვალისწინებდა. ასე იყო ქუთაისის საავტომობილო ქარხანაშიც, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ვალერიან ვადაჭკორია გამოირჩეოდა ერუდიციით, მორალური ზნეობით, პრინციპულობით. უზადოდ იცოდა საქმე და თავის დიდ შრომით და ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდებს.

1955 წლიდან ვალერიან ვადაჭკორია ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა. სხვადასხვა წლებში იყო პარტიის ქუთაისის ქალაქკომის მეორე მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს მრეწველობის მინისტრის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, კვების მრეწველობის მინისტრი.

1971-1990 წლებში ვალერიან ვადაჭკორია მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ვალერიან ვადაჭკორია ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. მის კალამს ეკუთვნის 16 სამეცნიერო ნაშრომი, 5 გამოგონება, რომელთაც დიდი აღიარება ხვდა წილად და წარმატებით ინერგებოდა საქართველოში და საზღვარგარეთ.

წავიდა ჩვენგან დიდი ადამიანური ღირსების მქონე მოქალაქე, მამულიშვილი, უღალატო მეგობარი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ქვეყნის, ხალხის, საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების ჭეშმარიტი მაგალითი იყო.

ვალერიან ვადაჭკორიას ხსოვნა მარად დარჩება.

ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, ბ. ზოშიტაიშვილი, პ. მამრაძე, ზ. შენგელია, ვ. პაპავა, ბ. გულუა, ი. ანდრიაძე.

სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით შეიქმნა ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვალერიან ვადაჭკორიას დამკრძალავი კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ბატონ ზ. შენგელიას თავმჯდომარეობით.

ვ. ვადაჭკორიას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ვ. ვადაჭკორიას დამკრძალავი კომისიისაგან:

ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ვადაჭკორიას გამოსვენება — 5 მარტს, 14 საათზე, განსვენებულის ბინიდან, ფალიაშვილის ქ. № 32. დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გახსენება

თამთა გაბაიძე

ორმოცი დღე გავიდა იმ საბედისწერო წუთიდან, როცა შენ, უმწიკვლო, 4 წლის გოგონამ, მიატოვე შენი მშობლები, უმცროსი ძმა გიორგი და დაგვტოვე უნუგეშოდ. დიფტერიამ — ამ საშინელმა, უმოწყალო სენმა მოგვტაცა შენი თავი.

ძნელია, გაუსაძლისია უშენოდ ჩვენი ყოფა. სულ ვფიქრობთ, თითქოს მეზობლად იყო გასული და შემოხვალ, დაგვიბრუნდები, მაგრამ შენ არა და არ მოდიხარ შენს უნუგეშო დედ-მამასთან...

ვიცით, გვწამს, რომ შენი უმანკო სული ღმერთს სჭირდებოდა, იმიტომაც აგიყვანა თავისთან უსასრულობასა და მუდმივ სასუფეველში. ჩვენ კი ნუგეშად დაგვიტოვა შენზე დღენიადაგ ფიქრი და ზრუნვა შენს პატარა ძმიკოზე.

შენი მშობლები.

საქართველოს მრეწველობის დეპარტამენტის და რესპუბლიკური გაერთიანება „საქტყეავეჯმრეწვის“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა სატყეო მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი

ნინო შალვას ასული ჩაგუნავა-დუნდუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტის თანამშრომლები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ოთარ გიორგის ძე ზალიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ლამარა, ვალერი, იამზე კაციტაძეები, ძმა ვასილ კაციტაძე, რძალი ნელი აბრამიშვილი, სიძე ვახტანგ ლობჟანიძე, შვილიშვილები ნინო, მაია, ნანა, ინგა, ლელა, რუსუდანი, ლევანი, ნათია, შვილთაშვილები მაია, ლექსო, გვანცა, ირაკლი, ნათია, სიძეები მენზერ ბერუკაშვილი, გია თუშიშვილი, ალექსანდრე კაკუბავა, ძმისწულები, დისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (ლექსო) დავითის ძე კაციტაძე

პანაშვიდი 5, 6 III, 8 ს., გამოსვენება 7 III, თბილისი, წერეთლის პროსპ. 41 (II სადარბაზო), დაკრძალვა 9 III, 2 ს., მუხლში (ამბროლაურის რ.).

ტელევიზია: ფილმები . . .

დღეს, 5 მარტს

„კავკასია“
12.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ლოლიტა“.

მეორე არხი
22.10 — ამერიკული მხატვრული ფილმი „არასოდეს დაელაპარაკო უცნობს“.

„ოსტანკინო“
19.20 — „ტროპიკელი ქალის საიდუმლო“, 22.50 — მხატვრული ფილმი „თქვენი შვილი და ძმა“.

„რუსეთის“ არხი
19.55 — „პეტერბურგის საიდუმლოებანი“, 21.05 — მხატვრული ფილმი „პირველი ხართული“.

პროდუქტების ფასები და მომსახურების ტარიფები შემცირდა

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ კვირას წინა კვირასთან შედარებით ფასები 1,4 პროცენტით შემცირდა. მათ შორის პროდუქტების ფასები — 2,2 პროცენტით, მომსახურების ტარიფები — 6,7 პროცენტით, არასასურსათო საქონლის ფასები უცვლელი დარჩა.

საბოლოო ანგარიშით, წინა კვირასთან (2,3 პროცენტი) შედარებით ფასების საერთო ინდექსმა შეადგინა 98,7 პროცენტი, თვის დამდეგიდან — 99,9 პროცენტი, წლის დამდეგიდან — 101,5 პროცენტი.

საქინფორმი.

ხსოვნა

მარიამ გოგოხია

გარდაიცვალა მარიამ კოპლამაზაშვილი-გოგოხია, სათნო და გულისხმიერი ქალბატონი, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ღირსეულად ატარა ექიმის სახელი.

დაიბადა 1915 წელს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1941 წელს მობილიზებულ იქნა სამხედრო კომისარიატის მიერ. ომის დროს იგი ევაკოჰოსპიტალში მუშაობს და ამასთანავე არის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო სამსახურის უფროსი. თავდაუზოგავი და კეთილსინდისიერი შრომისათვის ჯილდოვდება საბრძოლო მედლებით. ომის დამთავრებისთანავე ქალბატონი მარიამი ქალაქის პირველ საავადმყოფოში აგრძელებს მუშაობას ორდინატორად, ხოლო 1947 წლიდან № 5 პოლიკლინიკაში უბნის ექიმად. 1952 წელს იგი ოჯახთან ერთად ყაზახეთში გადაასახლეს. იქაც არ უღალატია მოვალეობისათვის, იყო ყიზილყუმის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი. რეაბილიტირების შემდეგ იგი კვლავ პოლიკლინიკას დაუბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა თბილისის უძველესი უბნის, ისნის მოსახლეობას.

ქალბატონი მარიამის მზრუნველობა და გამხნევების არაჩვეულებრივი უნარი სამაგალითო იყო ყველასათვის, ვინც მას იცნობდა.

კოლეგები.

მიხეილ აბზიანიძე

85 წლისა ჩვენს რიგებს გამოაკლდა ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი პიროვნება, ხონის რაიონის საზოგადოებრიობისათვის გამორჩეულად საყვარელი ადამიანი მიხეილ ვლადიმერის ძე აბზიანიძე.

მიხეილ აბზიანიძემ ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო: 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი და შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა რიგით აგრონომად, მექანიზატორად, სოფლის მეურნეობის პროფილის სასწავლო დაწესებულებათა დირექტორად და მასწავლებლად.

1941 წლიდან 1956 წლამდე შეიარაღებულ ძალთა რიგებში იმყოფებოდა. დემობილიზაციის შემდეგ, უკვე პოლკოვნიკის ჩინით, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილს, ირჩევენ ჯერ ხონის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ. იგი გახლდათ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და რეგიონის არაერთი კეთილისმყოფელი საზოგადოებრივი წამოწყების თაოსანი.

1974 წლიდან გარდაცვალებამდე მიხეილ აბზიანიძე მუშაობდა ხონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის დირექტორად და მასწავლებლად.

მიხეილ აბზიანიძის მეომრული და შრომითი ღვაწლი არაერთი ორდენითა და მედლით, სამთავრობო სიგელით აღინიშნა. მაგრამ ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი დაფასება მისი ღვაწლისა და ამაგისა ის ნათელი ხსოვნაა, რომელიც ამ სიკეთითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ადამიანმა დატოვა ჩვენს გულებში.

ხონის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობა, ქალაქის მერია, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

ნინო ჩაგუნავა

გარდაიცვალა ხე-ტყის მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, პერსონალური პენსიონერი ნინო შალვას ასული ჩაგუნავა.

1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ასპირანტურა და ამავე წელს შეუდგა მუშაობას თბილისის სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ მეცნიერ მუშაკად და, ბოლოს, ქიმიის ლაბორატორიის გამგედ.

ქიმიის ლაბორატორიაში მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით დამუშავდა და ფართოდ დაინერგა ავეჯის მოპირკეთების ახალი პროგრესული მეთოდები სინთეზური წებოს და პოლიმერული მასალების გამოყენებით. თავისი სპეციალობით გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

ქალბატონმა ნინომ წლების მანძილზე აღზარდა დარგის არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტი.

ჩვენი ნინო იყო მოსიყვარულე და ერთგული მეუღლე, მზრუნველი დედა და ბებია, გულისხმიერი და კეთილი ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს მრეწველობის დეპარტამენტის რესპუბლიკური გაერთიანება „საქტყეავეჯმრეწვის“ და სატყეო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივები.

გიორგი ბალახაძე

საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, გამომგონებელ-რაციონალიზატორი, პერსონალური პენსიონერი გიორგი არჩილის ძე ბალახაძე. წლების მანძილზე მუშაობდა პასუხისმგებელ თანამდებობებზე. ბოლო ოცდაშვიდი წელი პენსიაზე გასვლამდე იყო კვების მრეწველობის სპეციალურ სათავო საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების გამგე.

ოჯახს დააკლდა მზრუნველი მეუღლე, კარგი მამა, მოსიყვარულე ბაბუა, მეგობრებს — კარგი მეგობარი.

მეგობრების ჯგუფი.



დედა მარიამი, მეუღლე მარინე ქიმერიძე, შვილი მაია, და ლამარა, სიძე ნოდარ გილაშვილი, დისწულები ნინო, ნათია, ნონა, მარიამი და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ (ჩორნა) ვლადიმერის ძე
ბერიძე

პანაშვიდი 7, 8 III, დაკრძალვა 9 III, 2 ს. ზაშურში, ოქტომბრის ნ6-ბ.



დედა მარინე ჯიქიძე, მამა მერაბ გორგოძე, მეუღლე მაკა დადიანი-გორგოძე, შვილი მერაბიკო, ბებიები ელენე გორგოძე, მარიამ დადიანი, ლუბა კასრაძე, მამიდა მარინე, ბიძები მამუკა გორგოძე, თემურ ჯიქიძე, გივი ხვედელიძე, ბიცოლები მანანა ცირეკიძე, მანანა გურჯია, ცოლისძმა უჩა, სიდედრი ნელი, სიმამრი შალვა დადიანები, ბიძაშვილები ინგა, მამუკა გორგოძეები, თეონა, მარიკა ჯიქიძეები, მამიდაშვილები ნათია, ანდრო ხვედელიძეები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რევაზ (რეზიკო) მერაბის ძე გორგოძე

პანაშვიდი 7, 8 III, 4 ს., გამოსვენება 9 III, 2 ს. თემქა, X კვარტალი, 28-ე კორპუსი.

თბილისის პოლიტიკური აკადემიის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიის სტუდენტი

თემურ ჯემალის ძე საჯაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პარლამენტის წევრის ბატონ ჯემალ საჯაიას შვილი

თემურ საჯაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაია.

გამომცემელი — შპს „პრესა“

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66464. ტელ.: 99-78-24. მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.